# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 15 იანვარი, 2014 წელი.

№8 (7389)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




## დაჩოქილი ბიჭები დახოცეს!

3

„ნათლულის" სპეცოპერაციის სკანდალური დეტალები





6

## აფხაზეთის კონფლიქტი 20 წლის გადასახედიდან

დალაი ლამა: 8



## უცხო-პლანეტელებთან შესახვედრად მოემზადეთ!

## ოქროს მაღაროს შემოგარენი ტრაქტორითაა მოსწორებული



5

ოქროს შუალედის ძებნა საყდრისის ოქროს მოსაპოვებლად

### ფიზიკური პირების უფლება-უნარიანობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი სამართლებრივი საკითხი

9

### საქართველოში არ ჰყოფნით კვალიფიციური კადრები, რომლებიც ჩრდილოეთის მიმართულებით მუშაობენ

8



## ბავშვთა ბედით კი არავინ დაგულისყურებულა!

ჰომოსექსუალმა წყვილებმა საქართველოდან უამრავი ჩვილი უკანონოდ გაიყვანეს

4

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

№8. ოთხშაბათი, 15 იანვარი, 2014 წელი.

კონტაქტები

# იქნება ძალიან პოზიტიური დინამიკა?

## საქართველოდან მძღოლებს რუსეთში უფრო იოლად შეუშვებენ



**საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში უკვე დაიწყო იმ გადამზიდავთა საბუთების მიღება, რომლებსაც გამარტივებული წესით სურთ რუსეთის ფედერაციის ვიზების აღება. შევსებულ განაცხადთან ერთად, მძღოლებს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში სხვა არაერთი დოკუმენტის წარდგენა მოუწევთ. არის თუ არა ეს ვიზის მიღების გარანტია და რა მოლოდინი უკავშირდება სავიზო რეჟიმის გამარტივების პერსპექტივებს?**

**„სურვილი მაქვს განვახორციელო სატვირთო გადაზიდვები/მგზავრთა გადაყვანა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ რუსეთის ფედერაციის შესაბამის უწყებებთან გრძელვადიანი ვიზის გაცემის თაობაზე ქვემოთ ჩამოთვლილი მძღოლებისთვის“,** — ასეთი მიმართვა ახლავს ცხრილს განცხადების ფორმაში, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ვებსაიტზეა გამოქვეყნებული. იქვეა მითითებული, რომ შევსებულ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საბუთების მთელი ჩამონათვალი:

**„1. კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის — სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი, ფიზიკური პირისათვის — იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთის ასლი, საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის — სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლი; 2. მძღოლთან არანაკლებ ერთი წლის ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმებული ასლი; 3. საქართველოს მოქალაქეობის მქონე მძღოლის პასპორტის (არანაკლებ ერთი წლის მოქმედების ვადით) ასლი; 4. მძღოლის შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის ასლი; 5. მეწარმის მფლობელობაში არსებული იმ სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ასლი, რომელზეც უნდა დასაქმდეს ვიზის მთხოვნელი“.**

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ინფორმაციით, მრავალჯერადი საქმიანი ვიზის აღება 10 სამუშაო დღეში 160 დოლარი ეღირება, ხოლო დაჩქარებულ რეჟიმში, ანუ სამი სამუშაო დღის განმავლობაში — ვიზის საფასური 310 დოლარი იქნება. საბუთების ვრცელი ჩამონათვალის მიუხედავად, არ არსებობს გარანტია, რომ ესა თუ ის მძღოლი აუცილებლად მიიღებს რუსეთის ფედერაციის ვიზას. როგორც ეკონომიკის სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი მიხეილ ხმალაძე განმარტავს, საბოლოო შედეგი მხოლოდ რუსეთის მხარეზეა დამოკიდებული:

**„ჩვენ ვაგზავნით მძღოლების მონაცემებს რუსეთის ფედერაციაში, ანუ ვუწევთ რეკომენდაციას მათ, ხოლო ორიგინალი მოწვევის მიღების შემდეგ, ისინი უკვე მიმართავენ შვეიცარიის საელჩოს საქართველოში და მიიღებენ გამარტივებული წესით აღნიშნულ ვიზებს“.**

გადამზიდავებისთვის რუსეთის ვიზები გამარტივებული წესით რომ გაიცემოდა, ამის შესახებ საქართველოს რუსეთმა ასევე შუამავალი ქვეყნის - შვეიცარიის - დახმარებით შემოუთვალა და ეს საზოგადოებისთვის 3 იანვარს გახდა ცნობილი. სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ვებსაიტზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, რუსეთსა და საქართველოს შორის საავტომობილო მიმოსვლა 2006 წლის 2 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის ინიციატივით შეწყდა და მისი აღდგენის მიზნით კონსულტაციები რუსეთის მხარესთან 2012 წლიდან მიმდინარეობდა.

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის თქმით, გამარტივება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია მისი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის შეხვედრების დღის წესრიგში:

**„ჩვენ ვსაუბრობდით იმაზე, რომ რუსეთი ნაბიჯ-ნაბიჯ გაამარტივებდა სავიზო რეჟიმს საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიებისთვის, ვიმეორებ - გარკვეული კატეგორიებისთვის. საუბარია, უმთავრესად, ნათესაურ კავშირებზე, პროფესიულ კავშირებზე, ბიზნესზე და ასეთ კატეგორიებზე. თითქოს ასეთი გამარტივება მოხდა ნაწილობრივ. ყოველ შემთხვევაში, იმ სტატისტიკის მიხედვით, რაც ჩემმა რუსმა კოლეგამ მომაწოდა, ერთი წლის წინანდელ მდგომარეობას თუ შევადარებთ, გაცემული ვიზების რაოდენობა სადღაც 40 თუ 50 პროცენტით გაიზარდა. მაგრამ ეს ის მაინც არ არის, რაც ჩვენ გვსურს, რადგან რუსული ვიზის მიღება დღესაც ძალიან რთულია“.**

ზურაბ აბაშიძის თქმით, ვიზების გამარტივების პერსპექტივებზე საუბარი კვლავ გაგრძელდება გრიგორი კარასინთან მორიგ შეხვედრაზეც, რაც, წინასწარი ინფორმაციით, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ, თებერვლის ბოლოს გაიმართება. ზურაბ აბაშიძე საგანგებოდ განმარტავს, რომ ამ შეხვედრების ფორმატში არ განიხილება სავიზო რეჟიმის სრულად გაუქმების პერსპექტივები, თუმცა, როგორც დიპლომატი ეუბნება რადიო თავისუფლებას, ადამიანებს შორის ურთიერთობების ჭრილში მისასალმებელი იქნება, თუკი ხორცი შეესხმება რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ნათქვამს, რომ გამორიცხული არ არის სავიზო რეჟიმის მთლიანად გაუქმება საქართველოსთან.

მას შემდეგ, რაც ვლადიმირ პუტინმა გასული წლის ბოლოს ასეთ პერსპექტივაზე ილაპარაკა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ეს იქნებოდა „ძალიან პოზიტიური დინამიკა“, მაგრამ სანაცვლოდ საქართველო არანაირ კომპრომისზე არ აპირებს წასვლას. მინისტრ მაია ფანჯიკიძის თქმით, რუსეთთან **„ურთიერთობების ნორმალიზება არ მოხდება ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე“.**

**ლელა კუნჭულია**

ალიან-ჩალიანი

## სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახალ პროექტს იწყებს

**როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პროექტის მიზანია მცირემიწიან ფერმერთა საქმიანობის სტიმულირება და მათთვის რთულ და შრომატევად ხვნის პროცესში ხელშეწყობა.**

**მინისტრის განმარტებით, უწყებამ 2013 წლის გამოცდილება გაითვალისწინა და პროექტის ფარგლებში წელს ქვეყნის მასშტაბით 800 ათასი ბენეფიციარი მიიღებს ხელშეწყობას.**

**— გასულ წელს ადამიანთა გარკვეული რაოდენობა ვერ მოხვდა პროექტში. წელს ეს გავითვალისწინეთ და ყველა მიწის მესაკუთრე, ვინც ფლობს 1,25 ჰექტარს და ნაკლებს, ამ დახმარებას მიიღებს. ასევე, თბილისის და ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულებზე შემოერთებული სოფლების მოსახლეობა, რომლებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, ასევე მიიღებენ ხელშეწყობას. ამის შესახებ უკვე ვაცნობეთ თბილისის საკრებულოს და აჭარის მთავრობას, - — განაცხადა ფიფიამ.**

**სოფლის მეურნეობის მინისტრის ცნობით, დაგეგმილია მრავალი ინოვაციაც, კერძოდ ხვნის ბარათის გარდა, მიწის მესაკუთრეები მრავალჯერადი პლასტიკური აგრობარათით ისარგებლებენ, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს მიიღებენ.**

## მემორანდუმი გუანგჟოუსთან

**თბილისის საკრებულოსა და ჩინეთის ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო-სამრეწველო ქალაქ გუანგჯოუს შორის ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცების მემორანდუმი გაფორმდა.**

**თბილისის საკრებულოს ინფორმაციით, დოკუმენტს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა და ქალაქ გუანგჯოუს მერმა ჩენ ჯია ჰუანმა მოაწერეს ხელი.**

**— აღნიშნული დოკუმენტი ქმნის იმის საფუძველს, რომ ქართულ და ჩინურ მხარეებს შორის ჩამოყალიბდეს მყარი ეკონომიკური კავშირები, რაც თავისთავად ნიშნავს ტურიზმის, ინფრასტრუქტურული პროექტების, ქალაქგეგმარების კუთხით და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში ორ ქალაქს და ორ ქვეყანას შორის აქტიურ თანამშრომლობას, — განაცხადა ირაკლი შიხიაშვილმა.**

**ვიზიტის ფარგლებში ქართული მხარე გუანდუნის პროვინციის ხელმძღვანელობასაც შეხვდება.**

**თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით ჩინურ მხარეს მიეწოდა წინადადება, მიმდინარე წელს თბილისსა და უანგუოპში განხორციელდეს ორმხრივი ეკონომიკური და სავაჭრო გამოფენები, რომელთა მიზანი, ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლის გაზრდა და ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავება იქნება.**

კანდიდატები

# ვინ იქნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი?

**უკვე ცნობილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის იმ კანდიდატთა სია, რომელთაგანაც პრეზიდენტმა ერთი უნდა დანიშნოს. პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“, გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების სიაში შევიდნენ:**

**მამუკა მდინარაძე** — შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი“, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“; **გია დეკანოზიშვილი** — გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; **ნინო ნიშნიანიძე** — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; **ზურაბ ძლიერიშვილი** — საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; **ვახტანგ მჭედლიშვილი** — საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის; **გიორგი გიორგაძე** — „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“; **გიორგი ბერძენიშვილი** — აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი; **ლევან ბოძაშვილი** — ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი; **ავთანდილ კახნიაშვილი** — სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემია; **იური ტაბუცაძე** — ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი; **გიორგი გიორგაძე** — იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; **ზურაბ სანიკიძე** — ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი; **ლილი გელუკაშვილი** — სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; **გიორგი თევზაძე** — ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტის პრესსამსახურში განუცხადეს, აღნიშნული კანდიდატებიდან ერთს პრეზიდენტი დანიშნავს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო 15 წევრისგან შედგება. საბჭოს 8 წევრს ირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, 5 წევრს ირჩევს პარლამენტი, ხოლო 1 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი.

ინფორმაცია

# სად გაქრა „ოქროს მოწმე“?

**ჟურნალისტი ირმა ინაშვილი შს სამინისტროს მიმართავს ყოფილი პატიმრის გოდერძი ჯოლოხავას ძებნა დაიწყოს. როგორც ინაშვილმა გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ჯოლოხავა ბოლო რამდენიმე ხნის განმავლობაში იყო ზეწოლის ქვეშ ბაჩო ახალაიასა და მეგის ქარდავას მხრიდან.** ამასთან, ინაშვილი ადასტურებს, რომ მან შეახვედრა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ჯოლოხავას, რადგან ის იყო ძალიან მნიშვნელოვანი მოწმე, რომელსაც დაცვა სჭირდებოდა. ინაშვილისვე თქმით, ის უარყოფს ჯოლოხავას ბრალდებებს და აცხადებს, რომ ვიდეორგოლი, რომელიც ბაჩო ახალაიას მეუღლემ გამოაქვეყნა, ზეწოლის შედეგად არის ჩაწერილი.

— მივმართავ ექსპერტიზის სამსახურს, რომ სასწრაფოდ დაიწყოს ექსპერტიზა, თუ ვინ იწერს ინტერვიუს გოდერძი ჯოლოხავასთან და არის თუ არა ეს ნამდვილად გიორგი ონიანი. თუ გიორგი ონიანია, პირდაპირ შეგვიძლია ვივარაუდოთ, ბაჩო ახალაიას ზეწოლა გოდერძი ჯოლოხავაზე.



მივმართავ შსს-ს, რომ ჯოლოხავას ძებნა დაიწყოს, რადგან ის დღესაც არის ზეწოლის ქვეშ, — აღნიშნა ინაშვილმა.

ბაჩო ახალაიას მეუღლემ ანი ნადარეიშვილმა სოციალურ ქსელებში ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც ყოფილი პატიმარი, გოდერძი ჯოლოხავა მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელს ირმა ინაშვილსა და იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ზეწოლაში ადანაშაულებს. მისი თქმით, ინაშვილი და წულუკიანი მას ჩვენების მიცემას აიძულებდნენ.

## თავდაცვის მინისტრმა ახალი წელი სამხედროებთან ერთად აღნიშნა

**თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ირაკლი ალასანია გორში, V ქვეით ბრიგადას ესტუმრა და ჯარისკაცებს 2014 წლის დადგომა კიდევ ერთხელ მიულოცა.**

თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა მათ გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო გეგმების განხორციელებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

— მინდა, ვუსურვო ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს, ოფიცრებს, სერჟანტებს, 2014 წელი მათთვის იყოს ბედნიერი, ჩვენი ქვეყნისთვის იყოს მშვიდობის წელი. მინდა, ვუსურვო ავღანეთში ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს სამშობლოში, საკუთარ ოჯახებში დანაკარგის გარეშე დაბრუნება. დარწმუნებული ვარ, ეს წელი ჩვენი ქვეყნისთვის წარმატების წელი იქნება. მინდა, მთელმა საქართველომ იცოდეს, რომ შეიარაღებული ძალები, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იქნება მოწოდების სიმაღლეზე და ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში ყველაზე უფრო გადამწყვეტ როლს შეიტანს, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

V ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებს ახალი წელი თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ალექსი ბატიაშვილმა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამაც მიულოცეს.

**ინტერპრესი**

№8. ოთხშაბათი, 15 იანვარი, 2014 წელი.



# დაჩოქილი ბიჭები დახოცეს!

## „ნავთლუღის“ სპეცოპერაციის სკანდალური დეტალები



**რუსთავის პირველი დაწესებულებიდან პატიმართა მასობრივი გაქცევის მომზადების აღიარების მისაღებად, პატიმრების წამების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ბაჩანა ახალაია და მე-7 საპყრობილის ყოფილი დირექტორი მეგის ქარდავა, რომელიც ამჟამად მიმალვაში იმყოფება. ბრალდებულების ახალაიას და ქარდავას მიმართ გამოძიება გრძელდება სსკ-ის 1441 მუხლის მეორე ნაწილით და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 7-დან 15 წლამდე ვადით ითვალისწინებს.**

პარალელურად, გამოძიება გრძელდება „ნავთლუღის“ ავტოსადგურის ტერიტორიაზე, 2006 წლის 12 იანვარს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის გარემოებების დასადგენად, რასაც შედეგად მოჰყვა სამი ახალგაზრდის ლიკვიდაცია.

გამოძიებით დგინდება, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 1 დაწესებულების პატიმარმა გია გორგაძემ დაწესებულების დირექტორს აცნობა, რომ ერთ-ერთი პატიმრისგან მიიღო შეთავაზება ციხიდან გაქცევაზე და მზადყოფნა გამოთქვა ეთანამშრომლა ციხის ადმინისტრაციასთან. ამ საკითხზე გორგაძეს ციხეში უშუალოდ შეხვდა ბაჩანა ახალაია და შეუთანხმდა, რომ ციხიდან შესაძლო გაქცევის მომზადების აღკვეთაში მას დაეხმარებოდა გია გორგაძის ძმა შოთა გორგაძე. ახალაიას დავალებით გორგაძემ ციხიდან დაურეკა თავის ძმას, რომელიც მეგობრებთან რომან სურმანიძესთან და მარად ართმელაძესთან ერთად, იმყოფებოდა წალკაში ნათესავის ნათლობაში. ძმის თხოვნით შოთა გორგაძე თავის მეგობრებთან ერთად ჩამოვიდა თბილისში.

2006 წლის 12 იანვარს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ, მისი მაშინდელი დირექტორის დათა ახალაიას ხელმძღვანელობით დაიგეგმა და ჩატარდა სპეცოპერაცია, რა დროსაც „ნავთლუღის“ ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე საეჭვო გარემოებებში ლიკვიდირებული იქნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულების პატიმრის გია გორგაძის ძმა – 1988 წელს დაბადებული შოთა (მურად) გორგაძე და მისი მეგობრები – 1985 წელს დაბადებული რომან სურმანიძე და 1983 წელს დაბადებული მარად ართმელაძე, რომლებიც თითქოსდა პატიმართა მასობრივი გაქცევის მიზნით, გეგმავდნენ რუსთავის №1 საერთო რეჟიმის დაწესებულებაზე შეიარაღებულ თავდასხმას. სპეცოპერაციის შემდგომ კი გორგაძეს მის მობილურ ტელეფონზე ციხეში დაურეკეს და უთხრეს, რომ მისი ძმა მათ მიერ იყო მოკლული და მიდიოდნენ ციხეში, რომ გორგაძისთვისაც მიეხედათ.

გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ სპეცოპერაციის დასრულებისთანავე, სპეცრაზმის თანამშრომლების თანხლებით ბაჩანა ახალაია და მეგის ქარდავა მივიდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულებაში, სადაც ახალაიას ბრძანებით, პატიმრები – გია გორგაძე, დავით ლექვთაძე, ვალერიან პაპავა, მიხეილ მანდარია, მამუკა ბეჭვაია და ბერდია მესხია ეზოში გაიყვანეს. ახალაიამ და ქარდავამ პატიმრების ეზოში გაყვანისთანავე დაიწყეს მათი უმოწყალოდ ცემა, ასევე მათი მითითებით პატიმრებს ცემა დაუწყეს სპეცრაზმის თანამშრომლებმაც.

ძირს დაყრილი პატიმრების ცემისას იყენებდნენ ხელკეტებს, ურტყამდნენ მათ ხელთ არსებულ ავტომატის კონდახებს. ცემისას პატიმრებს თხოვდნენ ციხიდან გაქცევის მომზადების აღიარებას და ხაზს უსვამდნენ, რომ მათი ცემა ხდებოდა დასჯის მიზნით. მათ მიერ ნაცემი თითოეული პატიმარი გაატარეს სპეცრაზმელების მიერ გაკეთებულ ე.წ. „კორიდორში“, სადაც გაგრძელდა მათი უმოწყალო ცემა როგორც ხელ-ფეხით, ისე ხელკეტებით.

მათი წამება ამით არ დასრულებულა. დაწესებულების ეზოში ხსენებული პატიმრების ცემის შემდეგ, მათ ბაჩო ახალაიას მითითებით გაახდევინეს ტანსაცმელი და უბრძანეს ასულიყვნენ საბადრაგო ავტომანქანაში. ექვსივე პატიმარი ავტომანქანით გაიყვანეს დაწესებულების ტერიტორიის გარეთ. დაწესებულებიდან გაყვანისთანავე გააჩერეს ავტომანქანა და გაშიშვლებული პატიმრებს კვლავ უბრძანეს მანქანიდან ძირს ჩასვლა. ასეთ მდგომარეობაში ისინი ახალაიას მითითებით დააყენეს ჯერ №1 დაწესებულების კედელთან, ხოლო შემდეგ კი დააწვინეს მიწაზე თოვლში და ტალახში. მათ თავზე ადგნენ შეიარაღებული სპეცრაზმელები, რომლებიც ბაჩო ახალაიას ბრძანებით აგრძელებდნენ უმოწყალო ცემას.

გამოძიებით დადგენილია, რომ ყოველგვარი იურიდიული საფუძვლების გარეშე ახალაიამ უკანონოდ გასცა განკარგულება პატიმრების გორგაძის, ლექვთაძის, პაპავას, მანდარიას, ბეჭვაიას და მესხისას სასჯელაღსრულების დაწესებულების № 1 დაწესებულებასთან შედარებით უფრო მკაცრი რეჟიმის მე-7 დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, რაც დაუყოვნებლივ იქნა მოყვანილი სისრულეში.

მე-7 დაწესებულებაში შეყვანისას, პატიმრებს, სპეცრაზმის წევრებთან ერთად, კვლავ დახვდნენ ბაჩანა ახალაია და მეგის ქარდავა. სპეცრაზმის თანამშრომლებთან ერთად ამავე დაწესებულების დერეფანშივე გააგრძელეს ექვსივე პატიმრის უმოწყალოდ ცემა ხელკეტების გამოყენებით და კვლავ თხოვდნენ ციხიდან გაქცევის მომზადების აღიარებას.

ამის შემდეგაც ისინი შეასახლეს საკნებში.

პატიმრების წამება გაგრძელდა აღნიშნულის შემდეგაც, ისინი სათითაოდ გაყავდათ საკნიდან ცალკე ოთახში, სადაც თითოეული მათგანისგან წამების შედეგად მოითხოვდნენ აღიარებითი ჩვენების მიღებას ციხიდან გაქცევის მომზადების შესახებ. პატიმრების წამება, საერთო ჯამში, გაგრძელდა რამდენიმე საათის განმავლობაში, რის შემდეგაც, მიუხედავად მიღებული სხეულის დაზიანებებისა, ყველა პატიმარი ყოველგვარი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გარეშე შეასახლეს საკნებში.

**„ნავთლუღის“ ავტოსადგურის ტერიტორიაზე უმოწყალოდ ჩახოცილი ახალგაზრდები მაშინ საშიშ დამნაშავეებად გამოაცხადეს. ოფიციალური ვერსიით, რუსთავის №1 დაწესებულებაზე თავდასხმას და პატიმრების გაქცევის მოწყობას გეგმავდნენ, რის შესახებაც კუდ-ში შეტყობინება შევიდა. ამის საფუძველზე კი ნავთლუღის ავტოსადგურის ტერიტორიაზე სპეცოპერაცია ჩატარდა. ბიჭებს 10-11 ტყვია ჰქონდათ მოხვედრილი. 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე, კუდ-ის შენობიდან სკანდალურმა ვიდეომასალამ გამოჟონა, ვიდეომასალიდან ჩანს, რომ სპეცოპერაციის ადგილზე ავტომატიანი დათა ახალაია გურამ დონაძეს ელაპარაკება. ახალაია კმაყოფილი და ღიმილიანი სახით ხსნის ავტომატს და დაბლა უშვერს, გურამ დონაძე გვერდზე ხტება.**

> **ძირს დაყრილი პატიმრების ცემისას იყენებდნენ ხელკეტებს, ურტყამდნენ მათ ხელთ არსებულ ავტომატის კონდახებს. ცემისას პატიმრებს თხოვდნენ ციხიდან გაქცევის მომზადების აღიარებას და ხაზს უსვამდნენ, რომ მათი ცემა ხდებოდა დასჯის მიზნით. მათ მიერ ნაცემი თითოეული პატიმარი გაატარეს სპეცრაზმელების მიერ გაკეთებულ ე.წ. „კორიდორში“, სადაც გაგრძელდა მათი უმოწყალო ცემა როგორც ხელ-ფეხით, ისე ხელკეტებით.**

სამივე ლიკვიდირებული ახალგაზრდა აჭარიდანაა, ორი ხულოს, ერთი ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან. რომანი და მარად ართმელაძე თანაკურსელები იყვნენ, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდნენ, პარალელურად კი, თურქეთში მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებდნენ. თურქეთში მათთან ერთად მუშაობდა შოთა (მურად) გორგაძეც. რომანი მეგობრებთან და მამასთან ერთად საქართველოში საახალწლოდ, დეკემბრის ბოლოს დაბრუნდა. 15 იანვრისთვის კი ისევ თურქეთში უნდა წასულიყვნენ.

ამ სპეცოპერაციას ჰყავს თვითმხილველები. ერთ-ერთმა თვითმხილველმა გარდაცვლილის მამას, ოთარ სურმანიძეს უთხრა, რომ სამივე მოკლული მუხლებზე დაჩოქილი და თავზე ხელებშემოდებული ეხვეწებოდა პოლიციელებს არ ესროლათ. მის შვილს მუხლში ნასროლი ტყვია ფეხის გულში ჰქონდა გასული, რაც ადასტურებს იმას, რომ მათ დაჩოქილებს ესროლეს.

კომპლექსური კრიმინალისტური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ერთ-ერთი გარდაცვლილის ტანსაცმლის გამოკვლევისას დადგინდა, რომ სროლა ნაწარმოებია მიბჯენით, ხოლო დანარჩენი დაზიანებები მიყენებულია 1-1,5 მეტრის მანძილიდან. ექსპერტიზის დაკვნის მიხედვით, სამივე გარდაცვლილს ტყვიები მოხვედრილი აქვთ უკნიდან.

ყველა მათგანის ჭრილობების მიხედვით დაზიანების ტრაექტორია არის ზემოდან-ქვევით მიმართული. მაშინ, როდესაც შსს-ს კუდ-ის თანამშრომლების ჩვენებების მიხედვით, ზოგიერთი მათგანი სროლას აწარმოებდა დაწოლილ მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში კი ჭრილობების არხის მიმართულება უნდა იყოს პირიქით, ქვემოდან-ზემოთ.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ახალგაზრდების გარდაცვალების მიზეზი ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობებია. აღსანიშნავია, რომ წინასწარი გამოძიება არც ამ შემთხვევაში დაინტერესებულა, ვის მიერ ნასროლი ტყვიით, კუდ-ის რომელი თანამშრომლის იარაღით იქნენ მოკლული ეს ახალგაზრდები.

**„თუ რუსთავის ციხეზე გეგმავდნენ თავდასხმას, სამგორში რა უნდოდათ? ისინი წალკიდან მოდიოდნენ. ეგეც არ იყოს, სამივე ჩემთან ერთად, მაისიდან დეკემბრამდე, თურქეთში მუშაობდა. მე სხვა ვერსია არ მაქვს, ამ ბიჭების მოკვლა ახალაიებს დასჭირდათ. სამი კაცი თუნდაც შეიარაღებული რომ ყოფილიყო, ისნის მეტროდან რუსთავის ციხეს აიღებდნენ?**

**თუ დამნაშავე იყვნენ არ ჯობდა რომელიმე ცოცხალი აეყვანათ, მაგრამ ლიკვიდაცია არჩიეს იმიტომ, რომ სიმართლე არ დადგენილიყო. ყველამ ვიცით, რაც მოხდა და რასთან გვქონდა საქმე. თუ ჩემი შვილი შეიარაღებული ციხეზე აპირებდა თავდასხმას, მაშინ ოჯახში რატომ არ მოვიდნენ და არ ჩაატარეს ჩხრეკა, იქნება, კიდევ მქონდა ავტომატები და კიდევ ვაპირებდი შეიარაღებული ხალხის გამოგზავნას, რატომ არ ნახეს?**

**მორგში ვნახე ჩემი შვილის ცხედარი, სუდარა ჰქონდა გადაფარებული. მითხრეს, ბიჭებმა ცეცხლი გახსნეს, ამიტომ გახდა საჭირო მათი ლიკვიდაციაო. ვერ დავიჯერე. ჯერ ერთი, ბიჭებს ტყავის მოკლე ქურთუკები ეცვათ, იმხელა ავტომატებს, რასაც გამოძიება მიუთითებდა, ვერაფრით დამალავდნენ. თუ ბიჭებმა ცეცხლი გახსნეს, ნუთუ არავინ დაზარალდა?! იქვე ვთქვი, თუკი ვინმეა ჩემი შვილის ნასროლი ტყვიით დაჭრილი, მანახეთ, მოვუვლი-მეთქი, მაგრამ იქ დაზარალებული მხოლოდ ჩაცხრილულთა ოჯახის წევრები ვიყავით.**

**გადმოვაბრუნე ჩემი ბიჭის ცხედარი და რომანის ხელებს რომ დავხედე, ავტირდი, თურქეთში დადიოდა სამუშაოდ, თავი რომ ერჩინა, ჩაის კრეფდა. ოფიციალური ვერსიით კი ეს სამი ბიჭი ბოლო სამი თვის განმავლობაში ციხეს ემსახურებოდა, სადაც თურმე შეისწავლეს სიტუაცია და რუსთავის №1 დაწესებულებაზე თავდასხმა დაგეგმეს. არადა, ჩემი შვილი 20 დეკემბრამდე თურქეთში იყო, ამას ადასტურებს საბაჟოს გადმოკვეთისას მის პასპორტში ჩარტყმული ბეჭედიც“,** – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას შოთა სურმანიძის მამა, რომან სურმანიძე.

მისივე თქმით, თბილისში შვილის ცხედრის გადასასვენებლად მომავალს, ტელეფონზე დაფარული ნომრით დაურეკეს და დაემუქრნენ, რომ თუ ოჯახის წევრების სიცოცხლე გაწუხებს, ოჯახიდან არ გახვიდე, არაა ეს საქმე მოსაკითხიო. მოკლული სურმანიძის და, ნანა სურმანიძე კი დათა ახალაიას და გურამ დონაძის დასჯას ითხოვს.

**„საკონტროლო გასროლა განახორცხიელა დათა ახალაიამ, იქ იმყოფებოდა შსს-ს პრესცენტრის უფროსი გურამ დონაძეც და ეს კადრი ნახა ყველამ ტელევიზიით. ჩემი ძმა არ იყო მკვლელი, არ იყო ქურდი, იყო ჩვეულებრივი მშრომელი ადამიანი, რომელიც პირველად იყო თბილისში. ექსპერტიზა ამბობს, რომ საკონტროლო გასროლა განხორციელდა, დაჩოქილი ბავშვები მოკლეს. ჩემს ძმას შუბლზე ახლო მანძილიდან ჰქონდა ნასროლი საკონტროლო.**

**ჩემი ძმის ტანსაცმელიც არ გამოგვატანეს, ექსპერტიზისთვის არის საჭიროო და ამ დროს, ექსპერტიზა მათ არ ჩაუტარებიათ, იმიტომ, რომ ყველაფერი ნათელი იყო, ყველაფერი დადგმული სპექტაკლი იყო. დიახ, უნდა დაისაჯოს დათა ახალაია და არა მარტო ჩემი ძმის მკვლელობისთვის, არამედ ძალიან ბევრი ადამიანის წამება და მკვლელობა აწევს კისერზე და სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს“,** – განმარტავს for.ge-სთან საუბრისას ნანა სურმანიძე.

ჩვენ დავუკავშირდით მოკლული მურად გორგაძის ძმას, გია გიორგაძეს, თუმცა, მასთან საუბარი იმ მოტივით ვერ შევძელით, რომ ამ დრომდე თურქეთში იმყოფოფება სამუშაოდ.

**ცოტნე დგებუაძე**

# ბავშვთა ბედით კი არავინ დაგულისყურებულა!



## ჰომოსექსუალმა წყვილებმა საქართველოდან უამრავი ჩვილი უკანონოდ გაიყვანეს

**დიახ, გაიყვანეს სრულიად უკანონოდ, ყალბი დაბადების მოწმობებით. თუმცა გამყალბებლებს შეეხოთ ამნისტია, ამიტომ ისინი არ დაუპატიმრებიათ. პროკურატურა კი ბავშვების ბედით არ დაგულისყურებულა.**

**ასოციაცია „მომავლის იმედის" თავმჯდომარემ თამარ ხაჭაპურიძემ სუროგაციის სფეროში ტრეფიკინგის დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დაასახელა.**

მისი თქმით, უკვე მრავალი თვეა, სუროგაციის დარღვევის ოთხი ფაქტია გამოვლენილი, რომელთა შედეგადაც საქართველოს საზღვარზე ყალბი დოკუმენტებით ოთხი ახალშობილი გადაიყვანეს.

სამოქალაქო რეესტრიდან ამოღებული ინფორმაციის საფუძველზე, — ამბობს იგი, — რომ სრულიად უკანონოდ, ბავშვის მამად სამი უცხოელი მამაკაცი დარეგისტრირდა, დედად კი სამი ქალბატონი — მუღალაშვილი, ჯავაშვილი და ღონღაძე.

**კრიმინალები ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 143-ე მუხლს (სუროგატს არეგისტრირებენ დედად) ორ შემთხვევაში არღვევდნენ:**

**1. თუ სუროგაციის მეთოდით ემსახურებიან გეი წყვილს და ბუნებაში არ არსებობს კანონიერი დედა;**

**2. თუ სუროგაციის მეთოდით ემსახურებიან საეჭვო მიზნების მქონე პიროვნებას ან მარტოხელა მამაკაცს.**

**„ორივე აღნიშნული შემთხვევა დაუშვებელია საქართველოს კანონით, ამიტომ ბავშვის დაბადების შემდგომ აყალბებენ დაბადების მოწმობის მონაცემებს. ხდება სუროგაციის ფაქტის დაფარვა, სუროგატ დედას აიძულებენ მოიტყუოს, ვითომ არის ბიოლოგიური დედა, დარეგისტრირდეს დედად, დაასახელოს მამად ის პირი, ვისზეც მიუთითებენ, ანუ ვინც ბავშვი ქვეყნიდან უნდა გაიყვანოს, დაბადების მოწმობის მიღების შემდეგ კი დედობაზე აწერინებენ უარს ნოტარიუსში. უდედო ბავშვი რჩება მარტოხელა მამაკაცს და გაჰყავს ქვეყნიდან",** — განმარტავს ხაჭაპურიძე.

მისივე თქმით, საქართველოს კანონით დაუშვებელია სუროგატი დედის დედად რეგისტრაცია, მაგრამ ამ კრიმინალური სქემის ავტორებისთვის მნიშვნელობა არ აქვს კანონს, ისინი უბრალოდ მალავენ სუროგაციის ფაქტს.

**„ხელისუფლებისგან სასწრაფოდ რეაგირებას მოვითხოვ. ან განაცხადონ, რომ ყალბი დოკუმენტებით საზღვარზე ოთხი ჩვილის გაყვანა არ არის დანაშაული, ან განაცხადონ, რომ ხელისუფლება არ ინტერესდება საქართველოს საზღვარზე უკანონოდ გაყვანილი ბავშვების ბედით, ან წაუყენონ ბრალი ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფს",** — განაცხადა ხაჭაპურიძემ.

მისივე თქმით, სამი შემთხვევა გამოვლენილია ზაფხულში, ხოლო ერთი შემთხვევა ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდში, ამ ფაქტების შესახებ კი მისმა ასოციაციამ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტსაც მიაწოდა ინფორმაცია. შესაბამისად, იგია პირველწყარო იმ ინფორმაციის, რის საფუძველზეც ეკა ბესელიამ პატრიარქის ეპისტოლესთან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელა. კერძოდ, ბესელია მიიჩნევს, რომ საქართველოში სუროგაცია ბიზნესისა და ტრეფიკინგის წყაროა და ჩვენ დაუმსახურებლად ვტკენთ გულს პატრიარქს.

ცნობილია, რომ სუროგატი დედა, რომელიც ბიოლოგიური დედა არ არის, ჩვილს იოლად აშვილებს უცხოელებზე და ამით დიდი თანხები კეთდება.

ცნობილია, რომ არაერთი ფაქტის მიუხედავად, პროკურატურამ მხოლოდ ერთი ბავშვის შესახებ დაიწყო საქმის ძიება, მაშინ, როცა რვა ბავშვის გაყვანის შესახებ ინფორმაცია მარტო ბრიტანეთის საკონსულოს ჰქონდა.

დამოუკიდებელი ექსპერტი მიგრაციის საკითხებში ნანა ნაზაროვა For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ სუროგაციის დროს ტრეფიკინგი ნიშნავს, რომ როცა ქალი თანახმა არაა, იგი ძალით ჰყავთ ჩაკეტილი და აიძულებენ, ბავშვი გააჩინოს.

**„ასეთი ფაქტების შესახებ მსმენია. ორსული ქალი თურქეთში გაიყვანეს, მაგრამ ეს დახურული სფეროა, ამ ქალბატონს არ შეხვედრივარ და კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. სხვა შემთხვევებიც იქნება, საკმაოდ ძვირადღირებული ოპერაციაა და ამ დროს კრიმინალური ელემენტები ყოველთვის აქტიურდებიან. სუროგატ დედას არასდროს არ აძლევენ ამდენ ფულს. სუროგაცია — ეს არის ექსპლუატაცია და ამის წინააღმდეგი ვარ, რომ საერთოდ იყოს საქართველოში. არც ერთ ევროპულ ქვეყანაში სუროგაცია ნებადართული არ არის. რაც პატრიარქმა თქვა, არავინ გაიგო, რას ამბობდა, არადა, ასეთი სულიერების ადამიანი როცა ამას ამბობს, ამას გაგება სჭირდება და არა — ტრანსპარანტების გამოკვრა. სხვათა შორის, საინტერესო სურათი გადავიღე ჩვენი მეტროს ერთ-ერთ ვაგონში, გამოკრული იყო აზრა — „სუროგაცია კანონითაა დაშვებული". სინამდვილეში, სუროგაცია კანონით დაშვებული არ არის, უბრალოდ, აკრძალული არაა. ჩვილი ბავშვებიც გაჰყავთ თურქეთში, ეს უკვე ბავშვების ტრეფიკინგია",** — აღნიშნა ნანა ნაზაროვამ.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" იურისტი მაია ხუციშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია უკანონო გარიგების დადება არასრულწლოვანთან მიმართებით, თუნდაც მისი შვილად აყვანის მიზნით. ასევე არსებობს მუხლი შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევის და მშობიარობისთვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნის შესახებ, რაც შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევაა. თუ დადგინდება, რომ პირმა დაარღვია შვილად აყვანის წესის შესახებ კანონი, ეს დასჯადია. არსებობს კიდევ ხელშეკრულება სუროგაციის შესახებ. თუ ეს პირობებიც დაირღვა, მაშინ დანაშაულის კატეგორიიდან გამომდინარე, ამუშავდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ნორმები.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" იურისტი ლაშა ჩალაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ სუროგაციის დასაშვებობის შემთხვევები გაწერილია ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის 143-ე და 144-ე მუხლით. ეს მუხლები უშვებს სუროგაციის შემთხვევებს, როცა წყვილი უშვილოა, ან დედას არ აქვს საშვილოსნო. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ხელოვნური განაყოფიერების გზით ბავშვის გაჩენა, ანუ რამდენიმე ემბრიონი შედგეს და, რომელიც ყველაზე უფრო მისაღებია, გადავიდეს სუროგატი დედის სხეულში. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ტიპის ხელშეკრულება იდება, რაზეც ორივე წყვილის თანხმობა უნდა იყოს. ქართული კანონმდებლობით, წყვილის ცნება პრობლემას ქმნის იმის გამო, რომ ჩვეულებრივი წყვილი სუროგაციაზე განაცხადს ვერ გააკეთებს. ყველა შემთხვევაში, რეგისტრირებული მეუღლეები უნდა იყვნენ. ამ დროს კლინიკასთან იდება ცალკე ხელშეკრულება, ცალკე ხელშეკრულება იდება დონორთან და ასევე, ცალკე ხელშეკრულებას დებენ სუროგატ დედასთან.

რაც შეეხება სუროგაციის დროს ჩადენილ ტრეფიკინგს, იურისტი განმარტავს, რომ სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვი ჩვეულებრივ ადამიანად ითვლება და მასზე ვრცელდება სისხლის სამართლის კანონმდებლობა. რაიმე დამატებითი განაწესი ან სპეციალური ნორმა ამასთან დაკავშირებით ქართულ კანონმდებლობაში ამ ეტაპზე არ გვაქვს.

**„სუროგაციის გზით უცხოეთში გაყვანილი ბავშვების შესახებ კონკრეტული ფაქტი არ მსმენია. უბრალოდ, ფაქტს ვერ დავადასტურებ, მაგრამ გამიგია, რომ იმ ემბრიონებიდან, რომლიდანაც წყვილი იყენებს მხოლოდ ერთ, ყველაზე სასურველს და რამდენიმე ემბრიონს ყინავს, დანარჩენი ემბრიონების გამოყენება ხდება სხვა წყვილებისთვის, რაც დაუშვებელია".**

**მანანა ნოზაძე**

**◎ არქიტექტურა**

# ქართველ ხუროთმოძღვართა აღიარება

**ახალი წლის წინა დღეებში სასიამოვნო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან — არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის მოსკოვის განყოფილების აკადემიკოსად და წევრ-კორესპონდენტებად არჩეულნი არიან არქიტექტორები გიული გეგელია (აკადემიკოსად), თენგიზ გოგოლაშვილი, გოჩა მიქიაშვილი და ვლადიმერ ცინცაძე (წევრ-კორესპონდენტებად). ქართულ-რუსულ ურთიერთობაში მრავალწლიანი დაძაბულობის და უძრაობის შემდეგ, ეს უაღრესად საყურადღებო ფაქტია.**

არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსმა და აკადემიკოსთა საბჭოს წევრმა ბატონმა ვახტანგ დავითაიამ ამ ფაქტთან დაკავშირებით გვითხრა:

ბოლო ათწლეულში რუსეთსა და საქართველოს შორის უკიდურესი დაძაბულობის მიუხედავად, პროფესიული კავშირები, მართალია, ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ მაინც გრძელდებოდა. შეხვედრები და პროფესიული ინფორმაციების გაცვლა ძირითადად ხდებოდა საერთაშორისო ღონისძიებებზე (ასე იყო თითქმის ყველა პროფესიაში), კონგრესებზე, კონფერენციებზე, ბიენალე-ტრიენალეებზე. აკადემიის აკადემიკოსთა საბჭოში ჩემი წევრობაც ფორმალური იყო, რადგანაც ბოლო 7-8 წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებზე მიწვევისას ჩვენგან მხოლოდ ერთი პასუხი ისმოდა — ვერ ჩამოვდივართ! ჩემს არაერთგზის თხოვნაზე, გამოვეყვანე აკადემიკოსთა საბჭოდან, პასუხი ერთი იყო — დაველოდოთ უკეთეს დროს. ჩვენი გამოჩენილი კოლეგების, პრაქტიკოსების და პედაგოგების — გ.გეგელიას, თ.გოგოლაშვილის, გ.მიქიაშვილის და ვ.ცინცაძის არჩევა ჩემი და ბატონი გიგა ბათიაშვილის წარდგინების საფუძველზე მოხდა. სასიამოვნოა, რომ აკადემიის ახალი წევრები პირდაპირ წარდგენილ სტატუსზე, პირველი საფეხურის — „აკადემიის პროფესორის" გაუვლელად აირჩიეს, რაც უპრეცედენტო ფაქტია აკადემიის ისტორიაში და ის ქართველი არქიტექტორებისადმი რუსი კოლეგების განსაკუთრებულ კეთილგანწყობაზე მიანიშნებს. მიმაჩნია, რომ პროფესიულმა ურთიერთობებმა და სახალხო დიპლომატიამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენ ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებაში.

**„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია გულწრფელად ულოცავს ჩვენს არქიტექტორებს საერთაშორისო აღიარებას!**

**სპარტაკ ქოზულია**

**◎ კაკალ გულში**

# წერტილოვანი ფრაზები




**მერი ნახე, მთავარი პრაკურორი ნახე, ქვეყანა ისე გამონახეო! ტანზანიური ანდაზა.**

**ჯანსულო, ჯანსულო,**
**ბაჩოს ბრალი დაუმძიმდა.**
**ჯანსულო, ჯანსულო,**
**აკა შარა ქომუჩითი.**
**ჯანსულო, ჯანსულო,**
**ხასლას ლეკურ გილმობუნი.**

**დღეს დილით „დავითარსე" — ორშაბათია, 13 რიცხვი და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) თანამომხსენებლები მაიკლ ას (труп) იანსენი და ბორის სილევიჩი ჩამოდიან საქართველოში-მეთქი!**

**თურმე ნუ იტყვით და, ეს ძვირფასი სტუმარი ყმაწვილები, ამ წუთში, ჩემს საყვარელ ა.ს.ო.-ებს, - ნინო ლომჯარიას, კახა კოჟორიძეს, ეკა გიგაურს და გიორგი ტუღუშს, ანუ ალხანები ხვდებიან ჩალხანებს „დახურულ კარს მიღმა"!**

**კარს რომ გააღებენ, გვეშველება, ალბათ.**

**გრძელდება პროექტი „უკბილოღიმილიანი და მშიერი საქართველო"**

**რაღა დროს პურია, სანახაობაც აღარაა.**

**დაგვაბოლეთ მაინც!**

**ისა და საგარეო საქმეთა სამინისტროში რომ ისრაელში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებლის გვარს ვერ იხსენებენ ხო მაგარი საყვარლობააა? ხომაა „ვიში პილოტაჟი"?**

**17 მაისი იყო თუ 19 აპრილი არ მახსოვს (ორივე შემთხვევაში ლგბტ საზოგადოება შეიყარა, სულით და ხორცით) მოკლედ უფრო სატყეპები რომ იყვნენ, ისინი არ გატყეპილან, უფრო საწყლები გაიტყეპნენ, ეს ისე ჩემთვის. გენიალური დასკვნა დადო ომბუდსმენმა — მომიტინგენი, სიძულვილით მოსდევდნენ ლგბტეშნიკებსო. მიჩნდება ლოგიკური შეკითხვა ნანუაშვილთან:**

**პატივცემულო დამცველო!**

**სიყვარულით როგორ უნდა გამოჰკიდებოდნენ, თქვენი რისხვა რომ არ დაემსახურებინათ?**

**გზა და გზა გაეხადათ, ყვავილებით ხელში თუ პირდაპირ საოხრემომარჯვებულებს?**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში" გ. ახვლედიანის ქ. №19. 299-62-77; 599 32-85-76.



# ოქროს შუალედის ძებნა საყდრისის ოქროს მოსაპოვებლად

**იმისათვის, რომ არც კომპანია „არ-ემ-ჯი გოლდი" (RMG Gold) დაზარალდეს და არც საყდრისი-ყაჩაღიანის ისტორიული ოქროს საბადო განადგურდეს, ხელისუფლება ოქროს შუალედის გამოძებნას ცდილობს, თუმცა, პროცესის გაჭიანურების გამო შექმნილ ვითარებას სულ უფრო ართულებს მხარეთა ურთიერთბრალდებები. გარემოს დამცველებისა და არქეოლოგების ნაწილი საპროტესტო აქციებით იმუქრება.**

„RMG-Gold"-ის საყვედურები და ბრალდებები კულტურის სამინისტროსკენ არის მიმართული. კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ სამინისტრო აჭიანურებს ნებართვის გაცემის პროცესს და „უსაფუძვლოდ და ხელოვნურად აფერხებს" სალიცენზიო ტერიტორიის ათვისებას და „მნიშვნელოვან ზარალს აყენებს როგორც კომპანიის, ასევე სახელმწიფოს ინტერესებს". ამავე განცხადების თანახმად, თუკი კომპანია დროულად არ მიიღებს საქმიანობის გაგრძელების უფლებას, შესაძლოა, უმუშევრად დარჩეს მისი 3 000-მდე თანამშრომელი. როგორც კომპანიის მრჩეველმა კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის საკითხებში სოსო ცაბაძემ განუმარტა ჟურნალისტებს 13 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე, უსამართლობა ძირითადად მინისტრის პირველი მოადგილის ქმედებებში მჟღავნდება:

**„არის საკმაოდ ტენდენციური დამოკიდებულება კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის ქალბატონი მიზანდარის მხრიდან. ეს არის კარგად ორგანიზებული შეტევა კომპანიაზე, რომელიც, პირველ რიგში, ალბათ, კომპანიის რეპუტაციის შელახვას ემსახურება".**

„არ-ემ-ჯი გოლდის" ინფორმაციით, 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში განხორციელებული კვლევა ცხადყოფს, რომ „საყდრისის ტერიტორია არქეოლოგიური თვალსაზრისით სრულიად სტერილურია და ადგილზე არავითარი არტეფაქტი და ძველი მადნის დამუშავების არანაირი კვალი არ გამოვლინდა". შესაბამისად, კომპანია „არ-ემ-ჯი" საყდრისის საბადოს ტერიტორიას განიხილავს როგორც კომპანიის ლიცენზიის ფარგლებში არსებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიას, რომელსაც სამუშაოების მიმდინარეობისას კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულება აქვს. იგივე წყარო ირწმუნება, რომ 2013 წლის ივლისში კულტურის სამინისტრომ საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს არქეოლოგიურ ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოუხსნა.

ამ ინფორმაციას არ ადასტურებს ბრალდებათა მთავარი ადრესატი, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი. მისი განმარტებით, სამინისტრომ ამ ობიექტს ძეგლის სტატუსი კი არ მოუხსნა, არამედ „ბათილად იქნა ცნობილი ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცედურა". შემდეგ იყო მცდელობა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს მოძრავი ძეგლის სტატუსი მინიჭებოდა, თუმცა, არც ეს გამოვიდა, რადგანაც დარგის სპეციალისტებმა ეს შეუძლებლად მიიჩნიეს. მარინე მიზანდარი დარწმუნებულია, რომ სადავოდ ქცეული ობიექტი, რომელსაც ამჟამად არქეოლოგიური ობიექტის სტატუსი იცავს, „უდიდესი მნიშვნელობისაა" არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვის:

**„ეს არის ის არქეოლოგიური ძეგლი, ობიექტი, სადაც შენარჩუნდა ძველი წელთაღრიცხვის მე-4 ათასწლეულის ადამიანის მოღვაწეობის კვალი. იყო მცდელობები, ეთქვათ, რომ ეს არ არის ოქროს მაღარო, რომ ეს არის სპილენძის ან მარილის მაღარო... ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგანაც მთავარი არის ის, რომ ეს არის იმდროინდელი ადამიანის მოღვაწეობის უცილობელი კვალი".**

მარინე მიზანდარი „არ-ემ-ჯი გოლდის" ბრალდებებს „უსუსურისა და დემაგოგიურის ნაზავს" უწოდებს, თუმცა, კულტურის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირების მსგავსად, ისიც თვლის, რომ უნდა გამოინახოს ოქროს შუალედი, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და ჰარმონიულად უნდა შეჯერდეს ეკონომიკასა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული მიზნები. ითქვა ისიც, რომ მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ ჯერჯერობით საერთო ენა ვერ გამოინახა სახელმწიფო ბიუჯეტში ერთ-ერთ უმსხვილეს გადამხდელ კომპანიასა და სახელმწიფო უწყებებს, მათ შორის, კულტურის სამინისტროს შორის.

ოქროს მომპოვებელი კომპანიის ქმედებებს, კომპანიისა, რომელიც არ დაელოდა საბადოს ათვისების ნებართვას და 7 იანვარს ტექნიკა შეიყვანა საყდრისი-ყაჩაღიანის ისტორიული საბადოს ტერიტორიაზე, არქეოლოგების, გარემოს დამცველებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების პროტესტი მოჰყვა. როგორც სტუდენტური მოძრაობა „მწვანე მუშტის1" წარმომადგენელმა ნიკა წიქარიძემ უთხრა რადიო „თავისუფლებას", მან და მისმა თანამოაზრეებმა საყდრისიდან ჩამოიტანეს ფოტომასალა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განადგურებას ასახავს:

**„ჩვენ გადავიღეთ ეს ფოტოები მიმდებარე მთებიდან. ძეგლი განადგურებულია, ზედა ნაწილი აბსოლუტურად მონგრეულია — ის ნაწილი, რომელიც ითხრებოდა, ფოტოებზეც კარგად ჩანს. ეს არის ვანდალობა. თანაც საზოგადოებას დაანახვეს, რომ ჩვენი აზრი უმნიშვნელოა და ჩვენ არ წარმოვადგენთ არაფერს".**

„მწვანე მუშტი", სხვა არაერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მსგავსად, ყურადღებით დააკვირდება საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებს და, როგორც აქტივისტები ამბობენ, თუკი ოქროს მომპოვებელი სამუშაოები გაგრძელდება, გაგრძელდება საპროტესტო აქციებიც.

**ლელა კუნჭულია**

# ოქროს მაღაროს შემოგარენი ტრაქტორითაა მოსწორებული

**არასამთავრობოები კულტურის მინისტრს მოუწოდებენ, საყდრისის საბადოს უძრავი ძეგლის სტატუსი ახლა მაინც აღუდგინოს.**

საქმე ისაა, რომ კომპანია RMG gold-ის დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, არასამთავრობოები და ჟურნალისტები საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე არ შეუშვეს და ჟურნალისტებს ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. უძველესი ოქროს მაღაროს შემოგარენი კი უკვე ტრაქტორითაა მოსწორებული.

თავის მხრივ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით RMG gold-ს გაფრთხილება მისცა და მოუწოდა, შესაბამისი დასკვნის მიღებამდე მიწის სამუშაოები დაუყოვნებლივ შეაჩეროს.

თუმცა კომპანია RMG gold აცხადებს, რომ იგი წიაღით სარგებლობის ლიცენზიით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საყდრისის სალიცენზიო ტერიტორიაზე მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებს.

საყდრისის საბადოზე მომხდარი ვანდალობის გამო 11 იანვარს 13.30 საათზე მთავრობის კანცელარიასთან აქცია გაიმართა, სადაც მოქალაქეთა ჯგუფმა უკვე პრემიერ-მინისტრს მიმართა, დაიცვას აღნიშნული საბადო.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ადა მარშანია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ კულტურის მინისტრმა როგორც მოუხსნა ძეგლის სტატუსი საყდრისის საბადოს, ისევე აღუდგენს ამ სტატუსს, მაგრამ მონგრეულ საბადოს რაღა ეშველება?!

**„ძალიან ბნელი კომპანია განკარგავს ამ ადგილებს და არავის უშვებს ტერიტორიაზე. არც ჩვენი პარტიის წარმომადგენლები შეუშვეს და არც კულტურის სამინისტროს წარგზავნილები, რაზეც ჩვენ პოლიციას განცხადებით მივმართეთ. ეს ფაქტი აღმაშფოთებელია. თავის დროზე კულტურის სამინისტროს სწორი პოზიცია რომ დაეკავებინა, ეს ამბავი არ მოხდებოდა. ახლა ხელის დაბანის მცდელობა აქვთ, რაც არ გამოუვათ. მინისტრი ოდიშარია პირველი დამნაშავეა, რომ ძეგლს აბსოლუტურად გაუგებრად, უკანონოდ მოუხსნა სტატუსი. ჩვენი ინფორმაციით, საყდრისის ძეგლის მოშლა უკვე დაწყებულია და ასეთი ცინიკური ქმედება დაიწყეს 7 იანვარს, შობის ღამეს",** — გვითხრა ადა მარშანიამ.

მისი თქმით, ამ ვანდალიზმით შეშფოთებულნი არიან უცხოელები. არსებობს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არაერთი წერილი, „ფოლქსვაგენის" თუ „მერსედესის" ხელმძღვანელობის წერილები, რომლებიც ტრადიციულად ჩართული არიან საქველმოქმედო საქმიანობაში და არქეოლოგიურ გათხრებს აფინანსებენ. გამოდის, უცხო ქვეყანა, გერმანია უფრო ღელავს და ქმედითია ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, ვიდრე ჩვენი ძველი თუ ახალი ხელისუფლება.

ადა მარშანია აცხადებს, რომ მათ კულტურის სამინისტროსთან სწრაფი რეაგირების მიზნით სახელდახელო აქცია გამართეს და მინისტრთან შეხვედრა მოითხოვეს, მაგრამ, როგორც აუხსნეს, მინისტრი მთავრობის სხდომაზე იყო და მათ არ შეხვედრია.

**„როდესმე ხომ დამთავრდებოდა ეს სხდომა?! თუმცა, ოდიშარიას ჯერ არ მივუპატიჟებივართ. ამის შემდეგ გადავინაცვლეთ კომპანია RMG gold-ის ოფისთან, ტატიშვილის ჩიხში, მაგრამ არც იქიდან გამოგვხმაურებიან".**

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" გენერალური მდივანი სოსო მანჯავიძე For.ge-სთან საუბარში იხსენებს, რომ საყდრისის ტერიტორიაზე ისინი სიტუაციის დასაფიქსირებლად ჩავიდნენ, თუმცა, დაცვის წარმომადგენლებმა არ შეუშვეს. არადა, ეს უნიკალური ძეგლი მძიმე მდგომარეობაშია, უკვე დაიწყო მუშაობა მძიმე საკარიერო ტექნიკამ. ისინი ამზადებენ ტერიტორიას ბურღვითი სამუშაოებისთვის.

სოსო მანჯავიძის თქმით, საქართველოს მთავრობა უნდა მოიქცეს ისე, როგორც ქვეყნის მთავრობას შეეფერება და ნუ იქცევიან ისე, თითქოს სტუმრად იყვნენ მოსულნი ხელისუფლებაში.

**„ნაპოლეონი ამბობდა, ნახევრად პასუხისმგებლობა აცარიელებს ხაზინას და ანგრევს სახელმწიფოს. არ შეიძლება, არავის არაფერი ეკითხებოდეს ქვეყანაში. არაერთხელ მითქვამს, სააკაშვილის მიერ განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმა, სადაც პრეზიდენტის, პრემიერის და პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილებები გაიმიჯნა, ქვეყნისთვის დამანგრეველია. გაფუჭებულ ოთხთვალას ჰგავს ჩვენი მმართველობა, უპასუხისმგებლოა ხელისუფლების ყველა შტო და შეუძლებელია მათ პასუხი მოსთხოვო რამეზე",** — აღნიშნა სოსო მანჯავიძემ.

მისი თქმით, საბედნიეროდ, ახლა ცოტა შეიცვალა ჩვენი უწყებების პოზიცია და გარკვეულმა სინათლემ შეაღწია ზოგიერთების ტვინებში. ეს მაშინ, როცა გერმანელებმა გააკეთეს რადიონახშირბადული ანალიზი, გამოსახეს საყდრისის სრული კონტური და ამ ანალიზის შემდეგ დაამტკიცეს, რომ ეს ყველაზე ძველი საბადოა მსოფლიოში.

**„გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფის" თავმჯდომარე ლაშა ჩხარტიშვილი აცხადებს, რომ ოქროს მომპოვებელ უძველეს საბადოს რამდენიმე კილო ოქროს სანაცვლოდ ანგრევენ. ამიტომ ისინი ამ ვანდალობას ყველანაირი მეთოდით შეუშლიან ხელს, მათ შორის, ფიზიკურადაც. მისივე განმარტებით, გურამ ოდიშარიამ გასული წლის ივლისში დანაშაული ჩაიდინა, როცა საყდრისის საბადოს კულტურული ისტორიული ძეგლის სტატუსი მოუხსნა. ეს იმ პოლიტიკის გაგრძელებაა, რაც წინამორბედმა ხელისუფლებამ დაიწყო და, რომელიც გულისხმობდა კულტურული მემკვიდრეობის, ბუნების, ადამიანების ჯანმრთელობის განადგურებას ინვესტიციების სანაცვლოდ, რის უკანაც კორუფციული ინტერესები იმალებოდა. ამიტომ კულტურის მინისტრმა ახლა მაინც სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს დანაშაული.**

**მარიამ ლოლაშვილი**



# აფხაზეთის კონფლიქტი 20 წლის გადასახედიდან

20 წელი გავიდა 1993 წლის 27 სექტემბრის ტრაგედიიდან. 20 წელია, რაც ქართულმა სახელმწიფომ დაკარგა კონტროლი მის ძირძველ კუთხეზე, რომელიც ისტორიულად ყოველთვის იყო საერთო-ქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანული ნაწილი. ამ 20 წლის მანძილზე ბევრი რამ გადახდა საქართველოს, იყო ჩავარდნები, წინსვლაც. ქართული სახელმწიფო, მიუხედავად ცალკეული წარუმატებლობისა, განსაკუთრებით კი 2008 წლის ყოველგვარ ზღვარსგადასული რუსული აგრესიისა და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ე.წ. „დამოუკიდებლობის" „დაკანონების" უბადრუკი მცდელობისა, მაინც შედგა და საერთაშორისო არენაზე საკმაოდ მნიშვნელოვან მოთამაშედაც რჩება — არა მხოლოდ კავკასიის მასშტაბით.

ყველაზე მოუშუშებელი იარა, რასაკვირველია, აფხაზეთია. 20 წლის მანძილზე ქართული სახელმწიფოს ყველა მცდელობა, საერთო ენა ეპოვა ჩვენს აფხაზ თანამემამულეებთან, სამწუხაროდ, რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ჯერ კიდევ გადაულახავია იდეოლოგიური დაპირისპირება. მაშინ, როდესაც ქართული საზოგადოება 1992-1993 წლების კონფლიქტს სავსებით სამართლიანად მიიჩნევს ტრაგედიად, ძმათამკვლელ ომად, რომლიდან გამოსავალი აფხაზებმა და ქართველებმა ერთად უნდა ვიპოვოთ, აფხაზური საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა ამ ტრაგედიას ერთნიშნად აფასებს, როგორც საქართველოსა და ქართველი ხალხის მიერ ჩადენილ დანაშაულს აფხაზი ხალხის წინაშე.

და მაინც რა მოხდა აფხაზეთში? რა შეიცვალა ბოლო 20 წლის განმავლობაში? რა გეოპლიტიკური რეალიები მივიღეთ კონფლიქტის სამხედრო ეტაპის დასრულებიდან დღემდე? როგორია 90-იანი წლების დამდეგის მოვლენების და პოსტკონფლიქტური პერიოდის ხედვა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან? როგორია აფხაზური და ქართული საზოგადოებების დღევანდელი აღქმა 1992-1993 წლების ტრაგედიისა?

პირველი: რა მოხდა აფხაზეთში 20 წლის წინ და როგორ აფასებენ 27 სექტემბერს ენგურს გაღმა და გამოღმა. როგორც ცნობილია, სეპარატისტული რეჟიმის მესვეურები და იდეოლოგები ყოველნაირად ცდილობენ, დაარწმუნონ აფხაზური საზოგადოება იმაში, თითქოს 1993 წლის 27-30 სექტემბერს აფხაზმა ხალხმა მოიპოვა ისტორიული გამარჯვება ე.წ. „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში". ეს თეზისი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. განა სრული უაზრობა არაა, გამოაცხადო თავი გამარჯვებულად ყბადაღებულ „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში" („Отечественная война народа Абхазии"), რომლის „ძლევამოსილი დასრულების" შედეგადაც ამ „აფხაზეთის ხალხის" თითქმის 2/3 აიყარა მშობლიური კუთხიდან და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. ამ ლოგიკით გამოდის, რომ ეს 2/3 არ იყო „აფხაზეთის ხალხის" ნაწილი, რაც სრული აბსურდია და ვერავითარ სამართლებრივ ნორმებში ვერ ჯდება. და განა ამის შემდეგ კიდევ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ ვინ არის მთავარი დამნაშავე აფხაზეთის ტრაგედიაში. განა ეს რასისტული მიდგომა არ ახდენს სრულ ლუსტრაციას იმისა, თუ ვინ როგორ უყურებდა და უყურებს აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. საბედნიეროდ, დღეს, არა მარტო ცივილიზებულმა მსოფლიომ, არამედ თვით იმპერიული სულისკვეთებით გაჟღენთილმა რუსმა ექსპერტ-პოლიტიკოსებმა დაინახეს სეპარატისტთა ნაციონალისტურ-შოვინისტური (რასისტულიც კი) სახე და ღიად დაიწყეს მათი მხილება.

ამ მიმართულებით უკვე ძალიან ბევრი რამ იბეჭდება რუსულ პრესაში. მათგან გამოვარჩევ ცნობილი რუსი ექსპერტ-ანალიტიკოსის, კავკასიურ თემატიკაში საკმაოდ გათვითცნობიერებული პუბლიცისტის ანდრეი ეპიფანცევის შეფასებებს. ეს ის ა. ეპიფანცევია, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ თავი გამოიჩინა ბინძური ანტიქართული პუბლიკაციებით, ხოლო ბოლო დროს უკვე აფხაზებსაც გადაწვდა და შესაშური მონდომებით მათი ნაციონალისტურ-შოვინისტური ბუნების მხილებას შეუდგა, რის გამოც ის დღეს აფხაზეთში, არც მეტი არც ნაკლები, Persona non grata-დაა გამოცხადებული.

სწორედ აქ მივადექით კიდევ ერთ პრობლემას აფხაზეთისადმი, ზოგადად საქართველოსადმი ოფიციალური მოსკოვის დამოკიდებულების საკითხს. დიახ, ნამდვილად „Дешевле было бы дружить с Грузией и иметь в союзники весь Кавказ"; ანუ უკვე რუსი ანალიტიკოსებიც მიხვდნენ ვ. პუტინის სტრატეგიულ შეცდომას. სწორედ საქართველოა მთლიანად „კავკასიის გასაღები" (ასე იყო ისტორიულად) და არა სომხეთი, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთსა და კომიკურ „სამხრეთ ოსეთზე". სამწუხაროდ, რუსეთის სახელისუფლებო ელიტა, ჯერჯერობით, ვერაფრით ვერ ითავისებს ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას და საკუთარი გაუთვლელი და უგუნური პოლიტიკური კურსის მძევლად რჩება. ოფიციალური მოსკოვის გაუთავებელი მოწოდებები მსოფლიომ აღიაროს კავკასიაში 2008 წლის აგვისტოს შემდეგ შექმნილი ე.წ. „ახალი რეალობა", პრაქტიკულად მთლიანად ბოიკოტირებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და ამ საკითხში რუსეთი სრულ დიპლომატიურ იზოლაციაშია მოქცეული.

არათუ წამყვანი სახელმწიფოები, არამედ თვით დსთ-ში შემავალი ისეთი სატელიტი ქვეყნებიც კი, როგორებიცაა ბელორუსი და სომხეთი, არ უჭერენ რუსეთს მხარს და ის თითო-ოროლა (ფულით მოსყიდული) დიქტატორული რეჟიმებისა (ვენესუელა, ნიკარაგუა) და ოკეანეთის ჯუჯა-სახელმწიფოების: ნაურუს, ტუვალუსა და ვანუატუს (ვანუატუს მიერ რამდენჯერმე პოზიციის შეცვლა აფხაზეთის „დამოუკიდებლობის" ე.წ. „აღიარების" საკითხის ირგვლივ ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა ტრაგიკომიკურ სახეს იღებს ს. ლავროვის უწყების დიპლომატიური მანიპულაციები და როგორ სწევს ყოველივე ეს დაბლა რუსეთის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე) „დიპლომატიური თანადგომის" იმედად რჩება. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია, მეზობელი სომხეთის მაგალითი, რომლის ლიდერმა მეტად გამომწვევი ანტი-მოსკოვური ნაბიჯი გადადგა. მან 2009 წ. ივნისში განსაკუთრებული პატივით მიიღო ერევანში ვიზიტად ჩასული საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც კრემლი ღიად სდებდა ბრალს ე.წ. „კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში" და, არც მეტი, არც ნაკლები, დააჯილდოვა ის სომხეთის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი — ღირსების ორდენით (მოსკოვისათვის განსაკუთრებით გამაღიზიანებელი აღმოჩნდა „ორდენის დებულების" ის ნაწილი, რომლის თანახმადაც აღნიშნული ჯილდო ენიჭებათ: „за значителный вклад в дело укрепления мира между народами".

ამჟამად რუსეთი, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაშია. მას სამხრეთ კავკასიაში ჰყავს ერთადერთი მოკავშირე — სომხეთი, იქ განთავსებული რუსული სამხედრო ბაზით, რომლის შენახვა მოსკოვს ძალზე ძვირი უჯდება. აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" სატელიტი „დამოუკიდებელი სახელმწიფოები" რეგიონში ზოგადი გეოპოლიტიკური ბალანსის თვალსაზრისით რუსეთს არა თუ არაფერს აძლევს, არამედ საერთოდ წამგებიანია, რადგან გარკვეულ პრობლემებს უქმნის თვით ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც, ფაქტობრივად, სახეზეა რუსული სახელმწიფოებრიობის კოლაფსის ნიშნები. უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში მოსკოვს სერიოზული პრობლემები შეექმნა თვით აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთშიც".



ასეთ ვითარებაში, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ რუსეთში ერთ დროს მართლაც გონს მოეგონ და გადასინჯონ თვით რუსეთის ეროვნული ინტერესებისათვის აბსოლუტურად საზიანო კურსი. ანუ სავსებით შესაძლებელია, რუსეთის ხელისუფლებამ შეწყვიტოს სეპარატისტული რეგიონებით მანიპულირება, გაწიროს ისინი და ერთიან ქართულ სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანი სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარების გზით მეტ-ნაკლებად აღიდგინოს თავისი გავლენა კავკასიაში. ეს იქნებოდა სწორი გეოპოლიტიკური გათვლა, რომელიც რუსეთს გაცილებით მეტ პოლიტიკურ (და არა მხოლოდ პოლიტიკურს) დივიდენდებს მოუტანს, როგორც ქვეყნის შიგნით (პირველ რიგში, ჩრდილოეთ კავკასიაში), ისე საერთაშორისო არენაზე.

სხვათა შორის, ამის პირველი ნიშნები გამოჩნდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიმდინარე დიპლომატიური ბატალიებისას. იმისათვის, რომ მოსკოვს თანხმობა მიეღო ქართული მხარისაგან და ამით დაეძლია უკანასკნელი ბარიერი მსო-ში გაწევრიანების გზაზე, რუსეთის ხელისუფლებას მოუწია მის მიერვე „დამოუკიდებელ" სახელმწიფოებად „აღიარებული" აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" „სუვერენიტეტის" შემლახველი პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება. კერძოდ, კრემლმა 2008 წ. 26 აგვისტოს (სწორედ ამ დღეს მოხდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" „დამოუკიდებელ" სახელმწიფოებად ცნობა) შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტში პირველად დააფიქსირა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო სასაზღვრო პუნქტებად ფსოუ და როკი, ხოლო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" ე.წ. „სუვერენული სახელმწიფოების" ტერიტორია „სავაჭრო კორიდორებად" გამოაცხადა, რამაც აფხაზური საზოგადოების პატრიოტულად განწყობილი ნაწილის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია.

ყოველივე ამის ფონზე სრულიად ცხადი ხდება, რომ ე.წ. კრემლის მერ შემუშავებულმა „აფხაზურმა პროექტმა" მთლად არ გაამართლა და აფხაზობა სულაც არ აპირებს მოსკოვის ნებისმიერ სურვილს მორჩილად შეხვდეს. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის პრობლემები, რომლებიც დრო და დრო თავს იჩენენ ოფიციალურ მოსკოვსა და მის მიერვე „სუვერენულ სახელმწიფოდ" აღიარებულ აფხაზეთს შორის და რომელმაც აპოგეას მიაღწია 2011 წელს. ესაა კონფლიქტები აფხაზთა მხრიდან რუსი ეროვნების მოქალაქეების კუთვნილი სახლებისა და ბინების „ექსპროპრიაციის" ფაქტების გამო, რომელსაც, როგორც ჩანს, უკავშირდება ამას წინათ სოხუმში მომხდარი მაღალჩინოსანი რუსი დიპლომატისა და მისი მეუღლის მხეცური მკვლელობა; ესაა სასაზღვრო დავა სოფ. აიგბას კუთვნილების ირგვლივ; პოლემიკა ისტორიოგრაფიულ საკითხებზე (ცნობილ რუს პოლიტიკოს კონსტანტინე ზატულინსა და ამჟამინდელი სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. „უშიშროების საბჭოს" მდივანს სტ. ლაკობას შორის — ამ პოლემიკის სიმწვავე მკაფიოდ ჩანს თუნდაც ს. ლაკობას პოლემიკური წერილის უაღრესად გამომწვევ დასათაურებაში — Затулинизм(!!!.); როგორც ცნობილია, ძალზე სერიოზულია დაპირისპირება საეკლესიო სფეროში და ა.შ.

ერთი სიტყვით, სრულიად აშკარაა, რომ რუსულ-აფხაზურ „იდილიურ" ურთიერთობებში პირველად ბოლო 100 წლის განმავლობაში აშკარად გაჩნდა ბზარი და, რომ, საჭიროების შემთხვევაში (როდესაც ამას რუსეთის ეროვნული ინტერესები მოითხოვენ), მოსკოვი ნამდვილად გაწირავს აფხაზეთს (ე.წ. „სამხრეთ ოსეთზე", რომ არაფერი ვთქვათ) და შეეცდება, გადასინჯოს თავისი კონფრონტაციული პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ანუ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დღეს თუ ხვალ, მოსკოვი იძულებული გახდება გადასინჯოს საქართველოსთან კონფრონტაციული კურსი, უარი თქვას ე.წ. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მის მიერ დეკლარირებულ ყბადაღებულ „ახალ რეალობაზე", აღიაროს ერთიანი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და დაამყაროს მასთან კეთილმეზობლური, კონსტრუქციული ურთიერთობა.

როგორც ჩანს, აფხაზური საზოგადოების ნაციონალისტურად განწყობილი წრეებიც არ გამორიცხავენ მოვლენების ამგვარ განვითარებას და ერთგვარ პრევენციულ ნაბიჯებსაც დგამენ. სრულიად აშკარაა, რომ მზარდი ანტიაფხაზური რუსული ინფორმაციულ-იდეოლოგიური ექსპანსიის ფონზე, რომელზედაც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება, სავსებით მოსალოდნელია, რომ კრემლის პოლიტიკით უკმაყოფილო ჭეშმარიტად პატრიოტ აფხაზებში გაჩნდეს გაწბილების შეგრძნება, რამაც შეიძლება შექმნას ხელსაყრელი ფონი აფხაზურ-ქართული დიალოგისათვის. ეტყობა, სწორედ მოვლენების ამგვარი განვითარება აშფოთებთ ნაციონალისტურად განწყობილ ძალებს, პირველ რიგში კი რაულ ხაჯიმბას პარტიას *„აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმს"*, რომელმაც პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იარაღად ზღვარგადასული ნაციონალიზმი აქცია („აფხაზეთის *სახალხო ერთობის ფორუმისა"* და მისი ლიდერის ეს ზღვარგადასული ნაციონალიზმი, რომელიც ტრადიციულ ანტიქართულთან ერთად სულ უფრო ანტირუსულ შეფერილობასაც იძენს, უკვე აღიზიანებთ მოსკოვში. ამის დადასტურებაა თუნდაც სულ ახლახან გამოქვეყნებული მასალა, რომელშიც რ. ხაჯიმბა „უნტერ-ფიურერად" არის მოხსენიებული. აი, ამ პოლიტიკის პროპაგანდისტულ უზრუნველყოფას ემსახურება ახალი, ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად აუხსნელი ანტიქართული ტალღის აგორება აფხაზეთის მკვიდრი 26 ათასი ქართველისათვის ე.წ. „აფხაზური პასპორტების" გაცემის ირგვლივ. როგორც ბოლო დღეეებში განვითარებულმა პროცესებმა აჩვენეს ალექსანდრე ანქვაბი კუთხეშია მიყენებული და თუ ის ნაციონალისტების მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და არ მოახდენს 26 ათასი ქართველის ე.წ. „აფხაზური პასპორტების" გაუქმებას, არავინ იცის, ამას რა მოჰყვება.

რა შეიძლება ამაზე ითქვას. როგორც ვხედავთ, სახეზეა აპარტეიდისა და ფაშიზმის „ზეიმი". და ეს ყოველივე XXI ს. დამდეგს. ყველაზე სავალალო კი ისაა, რომ დღევანდელ აფხაზურ პოლიტიკურ ელიტას არ ესმის, თუ რა საშიში თამაში (სხვათა შორის იგივე ყბადაღებული „აფხაზური სახელმწიფოს სუვერენიტეტის საფრთხის" კუთხით) წამოიწყო ამ სრულიად უგუნური კამპანიით. როგორც იტყვიან, ამით ისინი „ჭრიან იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ სხედან", რადგან იმ სიტუაციაში, როდესაც რუსები დღეს თუ ხვალ აუცილებლად ჩაატარებენ „რეფერენდუმს" ისედაც მოსკოვის სრულ კმაყოფაზე მყოფი უმადური აფხაზეთის რუსეთთან შეერთების საკითხზე, 26 ათასი ქართველისათვის ხმის უფლების წართმევა კატასტროფულ გავლენას მოახდენს ე.წ. „რეფერენდუმის" საბოლოო შედეგზე. ესაა რეალობა, რომელსაც ვერ ხედავენ სიძულვილს აყოლილი ჩვენი ბედოვლათი თანამემამულენი.

არის კიდევ არაერთი სხვა პრობლემა, რომლებმაც ჩიხში შეიყვანა თანამედროვე აფხაზური პოლიტიკური ისტებლიშმენტი და ზოგადად საზოგადოება. პირველ რიგში ესაა ურთიერთობების გამწვავება მოძმე ადიღ-ჩერქეზებთან, რომლებიც ვერაფრით ვერ პატიობენ სოხუმის მმართველ რეჟიმს ოფიციალური მოსკოვის „დაკრულზე ცეკვას" და მათთვის აფხაზეთის მოქალაქეობაზე უარის თქმას. არაფერს ვამბობთ ეკონომიკის სრულ მოშლასა და კრიმინალურ განუკითხაობაზე და ა.შ.

კიდევ ბევრ რამეზე შეიძლება დაფიქრება 1993 წლის სექტემბრის ტრაგედიიდან 20 წლის გადასახედიდან, მაგრამ ამჯერად ამით შემოვიფარგლოთ.

**ზურაბ პაპასქირი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი**

# შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: **P117152**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **KRRIP/CW/ICB-04**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: სასადილო-სიონის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობა და გადაცემა შედეგზე და შესრულებაზე დაფუძნებული საგზაო კონტრაქტის მეთოდოლოგიისათვის.

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 17 (ჩვიდმეტი) **თვე**

შესაფასებელი ვალუტა: **ლარი**

**ტენდერში მონაწილე კომპანიები:**

1. შ.პ.ს. „კაუკასუს როუდ პროჯექტი"
2. ერთობლივი საწარმო შ.პ.ს. „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" და შ.პ.ს. „სერპანტინი"
3. შ.პ.ს „ჩაინა რეილვეი №5 ინჟირენინგ გრუფ"
4. შ.პ.ს. „ჯაჰანფარს ინჟირენინგ&ქონსთრაქშენ"
5. შ.პ.ს. „კეინზა კონტრატას ე ინჯინერია" (ეუროფინზა გრუფ)

**შეფასებული კომპანია**

1. დასახელება: **შ.პ.ს. „კაუკასუს როუდ პროჯექტი"**
მისამართი: საქართველო, თბილისი, ლესელიძის ქუჩა N 44
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 8,899,542.06; 11% ფასდაკლება – 7,920,592.43 ლარი (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 7,920,592.43 ლარი

2. დასახელება: **ერთობლივი საწარმო შ.პ.ს. „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" და შ.პ.ს. „სერპანტინი"**
მისამართი: შ.პ.ს. „სერპანტინი" – საქართველო, თელავი, ფალიაშვილის ქუჩა №27
შ.პ.ს. „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" – საქართველო, გორი, შინდისის ქუჩა, მე-2 კმ.
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 10,249,710.95 ლარი (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 10,249,710.95 ლარი

3. დასახელება: **შ.პ.ს „ჩაინა რეილვეი №5 ინჟირენინგ გრუფ"**
მისამართი: ჩინეთი
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 16,211,252.29 ლარი (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 16,211,252.29 ლარი

4. დასახელება: **შ.პ.ს. „ჯაჰანპარს ინჟირენინგ&ქონსთრაქშენ"**
მისამართი: ირანი, თეირანი
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 16,279,801.00 ლარი (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 16,279,800.35 ლარი

5. დასახელება: **შ.პ.ს. „კეინზა კონტრატას ინჯინერია" (ეუროფინზა გრუფ)**
მისამართი: ესპანეთი, მადრიდი
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 17,110,477.31 ლარი (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 17,110,477.20 ლარი

**გამარჯვებული კომპანია**

დასახელება: **შ.პ.ს. „კაუკასუს როუდ პროჯექტი"**
მისამართი: საქართველო, თბილისი, ლესელიძის ქუჩა №44
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 8,899,542.06; 11% ფასდაკლება – 7,920,592.43 ლარი (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 7,920,592.43 ლარი
საკონტრაქტო ღირებულება: 7,920,592.43 ლარი

**დისკვალიფიცირებული კომპანია(ები)**

დასახელება: ერთობლივი საწარმო შ.პ.ს. „ფინ-ესთეით"/ შ.პ.ს. „ზიმო"/ შ.პ.ს."არკპრო"
მისამართი: შ.პ.ს. „ფინ-ესთეით"/ – საქართველო, თბილისი, ბათუმის ქუჩა №29ა
შ.პ.ს. „ზიმო"/ – საქართველო, თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა №25ბ
შ.პ.ს."არკპრო" – საქართველო, თბილისი, გოძიაშვილის ქუჩა №20
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 7,743,150.66 ლარი (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)
დისკვალიფიკაციის მიზეზი: არასწორად წარმოდგენილი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია

დასახელება: ერთობლივი საწარმო შ.პ.ს. „ცეკური"/ შ.პ.ს. „საპროექტო, სამშენებლო ექსპერტიზა"
მისამართი: შ.პ.ს.„ცეკური"– საქართველო, თბილისი, ხიზამბარელის ქუჩა №1
შ.პ.ს. „საპროექტო, სამშენებლო ექსპერტიზა" – საქართველო, თბილისი, ჭოველიძის ქუჩა №20
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 9,482,709.99 ლარი (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)
დისკვალიფიკაციის მიზეზი: არასწორად წარმოდგენილი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია

დასახელება: შ.პ.ს. „კომპანია ბლექ სი გრუფ"
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 9,888,888.89 ლარი (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)
დისკვალიფიკაციის მიზეზი: არასწორი განფასება

---

# Contract Award Notification

Project Name: **Kakheti Regional Roads Improvement Project**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**

Project Number: **P117152**

Bid/Contract Reference No: **KRRIP/CW/ICB-04**

Scope of Contract: **Design – Build and Transfer of Sasadilo – Sioni Road Rehabilitation under Output- and Performance-based Road Contracting Methodology**

Duration of Contract: **17 months**

Evaluation Currency: **Georgian Lari**

**Evaluated Bidder(s)**

Name: **"Caucasus Road Project" Ltd**
Address: 44 Leselidze Str, 0105 Tbilisi, Georgia
Bid price at bid opening: 8,899,542.06; 11% discount – 7,920,592.43 Gel (including VAT)
Evaluated bid price: 7,920,592.43 Gel

Name: **JV "Roads Construction Administration" No.1 Ltd./Serpantini" Ltd**
Address: Roads Construction Administration No.1 Ltd. – 2km Shindisi road, Gori, Georgia
Serpantini Ltd –Paliashvili st. N 27, Telavi
Bid price at bid opening: 10,249,710.95 Gel (including VAT)
Evaluated bid price: 10, 249,710.95 Gel

Name: **"CHINA RAILWAY No.5 ENGINEERING GROUP" Co. Ltd**
Address: : No.23 of Zaoshan Road, Guiyang City, Guizhou Province, China
Bid price at bid opening: 16,211,252.29 Gel (including VAT)
Evaluated bid price: 16, 211,252.29 Gel

Name: **"JAHANPARS Engineering & Construction"**
Address: Jahanpars House, No.06, West 20th Alley, North Allameh Ave., Saadat Abad Blvd.,Tehran 1997077613, Iran
Bid price at bid opening: 16,279,801.00 Gel (including VAT)
Evaluated bid price: 16,279,800.35 Gel

Name: **"Ceinsa Contratas Ingenieria" S.A (EUROFINSA GROUP)**
Address: Paseo de la Castellana, 91, floor 11, 28046, Madrid, Spain
Bid price at bid opening: 17,110,477.31 Gel (including VAT)
Evaluated bid price: 17,110,477.20 Gel

**Awarded Bidder**

Name: **"Caucasus Road Project" Ltd.**
Address: 44 Leselidze Str, 0105 Tbilisi, Georgia
Bid price at bid opening: 8,899,542.06; 11% discount – 7,920,592.43 Gel (including VAT)
Evaluated bid price: 7,920,592.43 Gel
Contract Price: 7,920,592.43 Gel

**Rejected Bidder(s)**

Name: JV "FIN-ESTATE " Ltd./"ZIMO " Ltd./ "ARCPRO " Ltd.
Address: FIN-ESTATE Ltd –29a Batumi street, Tbilisi, Georgia
ZIMO " Ltd.- 25b, Mitskevich street, Tbilisi 0160, Georgia
"ARCPRO " Ltd. – 20 Godziashvili Street, Tbilisi, Georgia
Bid price at bid opening: 7,743,150.66 Gel (including VAT)
Reason(s) for rejection: Incorrect Bid Security

Name: JV "TSEKURI" Ltd./ "Projecting, Building, Expertise" Ltd.
Address: TSEKURI Ltd. - Khizambareli st. N1, Tbilisi, Georgia
Projecting, Building, Expertise Ltd – Tchovelidze st. N20, Tbilisi, Georgia
Bid price at bid opening: 9,482,709.99 Gel (including VAT)
Reason(s) for rejection: Incorrect Bid Security

Name: "Company Black Sea Group" Ltd.
Address: 71 Vazha Pshavela Ave., Tbilisi, Georgia
Bid price at bid opening: 9,888,888.89 Gel (including VAT)
Reason(s) for rejection: Incorrect Breakdown of Price

---

## ალიან-ჩალიანი

### თბილისის საკრებულომ ომის მონაწილეებს ახალი წელი მიულოცა

თბილისის საკრებულოს წევრებმა ომის ვეტერანებს საახალწლო ნობათები გადასცეს და დახმარებას დაჰპირდნენ. თბილისის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები ბესარიონ ბენდელიანი, ჯაბა სამუშია და მიხეილ ქავთარაძე ომის ვეტერანთა კლინიკურ ჰოსპიტალს ეწვივნენ და პაციენტებს საახალწლო ნობათები მიუტანეს.

საკრებულოს უმრავლესობის წევრის ბესარიონ ბენდელიანის თქმით, ომის ვეტერანები აუცილებელ დახმარებებს საჭიროებენ და საკრებულო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ასეთი პროექტები დაფინანსდეს.

მისივე თქმით, მერიის მიერ მოწოდებულ ბიუჯეტის პროექტში არ იყო გათვალისწინებული ვეტერანთა დაფინანსება და ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის ჩავარდნის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ეს პრობლემა სახელდება.

— ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი პროგრამულ დაფინანსებაზეა და ბუნებრივია, ეს თანხა არ არის საკმარისი მასშტაბური საქმიანობისთვის. ამიტომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი დახმარებები, რომელსაც ქალაქის საკრებულო, ჯანდაცვის სამინისტრო და სხვა სტრუქტურები ახორციელებენ, — განაცხადა ომის ვეტერანთა ჰოსპიტალის დირექტორმა გია მაცაბერიძემ.

დღეის მდგომარეობით საქართველოში 75 ათასამდე ვეტერანია, აღნიშნულ კლინიკაში კი მკურნალობას 50 პაციენტი გადის.

### უამინდობას მსხვერპლი მოჰყვა

აჭარის რეგიონში, მაჭახელას ხეობაში, „ნივის" მარკის ავტომობილის გზიდან გადავარდნას 80 წლის მამაკაცი ემსხვერპლა. როგორც „ინტერპრესნიუსს" აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა თურმანიძემ განუცხადა, უბედური შემთხვევა უამინდობამ და ძლიერმა ქარმა გამოიწვია.

— მეწყერი ჩამოწვა ხულოსა და ქედაში, რამაც ბათუმი-ადიგენის ცენტრალური მაგისტრალის პარალიზება გამოიწვია. უბედური შემთხვევა მოხდა მაჭახელაში. გზიდან გადავარდა „ნივა". ოთხი მგზავრიდან ერთი, 80 წლის ამირან ზაქარაძე გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენი მგზავრების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, — აღნიშნა მამუკა თურმანიძემ.

მისივე თქმით, ბათუმი-ადიგენის მაგისტრალი ცალმხრივად გვიან ღამით გაიხსნა, გუშინ კი გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობდა.

მამუკა თურმანიძის განმარტებით აჭარის რეგიონში ღამის განმავლობაში 15 გამოძახება დაფიქსირდა მათ შორის მეწყერის ჩამოწოლის და უბედური შემთხვევის შესახებ.

მისივე თქმით, ქარბუქი იყო ხულოს მუნიციპალიტეტში, ხოლო აჭარის სხვა რაიონებში ძლიერი წვიმა და ქარი. ამასთან, მახინჯაურში ძლიერმა ქარმა ორ საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა.

### მიუსაფარი ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა

მიუსაფართა თავშესაფრის ერთ-ერთი მობინადრე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. გარდაცვლილი საშუალო ასაკის მამაკაცია. როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, ავტოსაგზაო შემთხვევა ორშაბათს, 23:00 საათზე, თავშესაფრის ტერიტორიის გარეთ მოხდა.

— გარდაიცვალა საშუალო ასაკის მამრობითი სქესის მობინადრე, ალკოჰოლდამოკიდებული და ყავარჯნებით მოსიარულე. როგორც გაირკვა, ის გადაპარულია ღობეზე საკვების მოტანის მიზნით, — აცხადებენ სამინისტროში და იქვე განმარტავენ, რომ გარდაცვლილის ხელში ნაპოვნი იქნა ალკოჰოლური სასმელი და ტკბილეული.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისში მოამზადებენ რუსეთის სპეციალისტებს

**საქართველო-ამერიკის უნივერსიტეტმა დაიწყო იმ სასწავლო პროგრამების შედგენა მაგისტრატურისთვის რუსეთმცოდნეობის სპეციალობით, რომლებიც დაინერგება სექტემბრიდან.**

**— კურსი ერთი წლითაა გათვალისწინებული, იგი მოამზადებს კადრებს დიპლომატიური მუშაობისთვის, აგრეთვე ექსპერტებს,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში უმაღლესი სასწავლებლის პროფესორმა სოსო ცინცაძემ, რომელიც ადრე საქართველოს დიპლომატიურ აკადემიას ედგა სათავეში. **— რუსეთის შესწავლის პრაქტიკა სათანადო სამეცნიერო დონეზე ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ ყოფილა. ჩვენ კი უნდა მოვაწყოთ ამჟამინდელი რუსეთის პოლიტიკური ანატომიის შესწავლა, რათა გავიგოთ, რას უნდა ველოდოთ სამომავლოდ ჩრდილოელი მეზობლისგან, როგორი საშინაო-პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს იქ.**

**საქართველოში არ ჰყოფნით კვალიფიციური კადრები, რომლებიც ჩრდილოეთის მიმართულებით მუშაობენ**




ამჟამად, მეცნიერის სიტყვებით, ამ თემატიკისადმი დამოკიდებულება დელიკატურია. სუსტი ანალიტიკა შეზღუდულია განხილვებით იმის შესახებ, რომ რუსეთი არის ქვეყანა, რომელთანაც 2008 წლიდან შეწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობანი.

**უკანასკნელ პერიოდში გამოცოცხლებული ეკონომიკური და ჰუმანიტარული კავშირურთიერთობანი ორ ქვეყანას შორის, ქართველ ექსპერტთა აზრით, იძლევიან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აუცილებლობის შესაძლებლობას — გავაკეთოთ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობათა განვითარების პოლიტიკური პროგნოზი.**

სოჭის ზამთრის ოლიმპიადის შემდეგ გაიმართება პირველი მიმდინარე წელს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინისა და საქართველოს პრემიერის რუსეთის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის შეხვედრა. ამჟამად ეს ორმხრივ მოლაპარაკებათა ერთადერთი ფორმატია. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთის მიმართულებას კურატორობას უწევს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დეპარტამენტი. წინა წლებში არსებობდა რუსეთის ცალკეული დეპარტამენტი, მაგრამ იგი გააუქმა ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ.

ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მთავრობის დროს დააკონსერვეს 2009 წელს შექმნილი რუსეთის კვლევის ინსტიტუტის მუშაობა. ინსტიტუტის ანალიტიკოსების წინაშე თავდაპირველად დაისვა საკითხი რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკის, აგრეთვე ამ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესებისა და საქართველოზე მათი ექსტრაპოლაციის შესწავლის შესახებ. ჩვენი გაზეთის მონაცემებით, იმ პერიოდის თავიანთ დასკვნებში თანამშრომლები ამტკიცებდნენ, რომ ურთიერთინტერესი წარმოადგენს კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხს.

**— ინსტიტუტის მუშაობის შეჩერების მიზეზი 2009 წელს იყო ფინანსური მხარე,** — უამბო ჩვენს გაზეთს მისმა ექსდირექტორმა ნიკოლოზ ვაშაკიძემ. **— ჩვენ დონორების გრანტებზე ვმუშაობდით. შემდეგ ისინი ამოიწურა. მთლიანად კი ჩვენი რეკომენდაციები იგზავნებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროში და მას ვაცნობებდით ქართველ საზოგადოებრიობას.**

**— კვალიფიცირებული ანალიტიკური რეკომენდაციების გამომუშავება რუსეთთან ურთიერთობასთან დაკავშირებით მეტად სასარგებლო იქნება ოფიციალური სტრუქტურებისთვის,** — მიაჩნია საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ანი მიროტაძეს.

**მისი სიტყვებით, ეს შეესაბამება ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს. საქართველოს პარლამენტში ასევე გვპირდებიან აუცილებელ დახმარებას რუსეთთან დაკავშირებით სპეციალისტების მომზადებაში.**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

◎ SIC!

# დალაი ლამა: უცხოპლანეტელებთან შესახვედრად მოემზადეთ!

**პორტლენდის (ორეგონის შტატი) უნივერსიტეტში დალაი ლამა მიიპატიჟეს და უკიდეგანო სამყაროში ადამიანის ადგილსა და როლზე ლექციის წაკითხვა სთხოვეს. ტიბეტელ ბუდისტთა სულიერმა მამამ შოკისმომგვრელი განცხადებები გააკეთა.** მიზეზთა გამო ამ რანგის ლიდერები უცხოპლანეტელებზე საუბარს ერიდებიან, მაგრამ ამჯერად სულიერმა მოძღვარმა სტუდენტებს აუწყა არამიწიერ ცივილიზაციასთან შეხვედრა ახლო მომავლის პერსპექტივაში და ამისთვის მზად უნდა იყოთო, განაცხადა მან.



**„ბოლოს და ბოლოს გავიცნობთ სხვა გალაქტიკის წარმომადგენლებს. ისინიც ადამიანები არიან. იქნებ გარეგნულად ცოტა განსხვავებული, თუმცა, მაინც ადამიანები. უნდა გვესმოდეს, რომ ისინიც ჩვენსავით აღიქვამენ საგნებს".**

ამით ხაზი გაუსვა, რომ ფიზიკური განსხვავების მიუხედავად, მათაც ჩვენნაირი შეგრძნებები აქვთ, აქვე გაფრთხილებაც იყო, რომ მიუხედავად განსხვავებული გარეგნობისა, მათთან ურთიერთობაში სითბო და სიკეთე არ უნდა დავიშუროთ. საინტერესოა დალაი ლამას კიდევ ერთი მინიშნება:

**„ბევრისთვის შეხვედრის მომენტი მძიმე იქნება, ამ გონიერი არსებების გარეგნობის გამო".**

ამრიგად, შესაძლოა, არსებობის მანძილზე პირველად კაცობრიობა მზად არის მომენტისთვის, რომელიც მის ცხოვრებას კარდინალურად შეცვლის. ასეთი ურთიერთობა დიდ პასუხისმგებლობასა და შეხედულებების გადაფასებისთვის მზადყოფნას მოითხოვს.

**ვერავინ იტყვის, როდის მოხდება ეს შეხვედრა ალბათ, მაშინ როცა კაცობრიობა ამისთვის მზად იქნება, ამას კი მრავალი ფაქტორი განაპირობებს.**

**ლილუ მიროტაძე,**
**Reportiori.ge**

# დედამიწის ზურგზე



### ატლანტიკის ყინულებიდან გამოსული „აკადემიკოსი შოკალსკი" ახალ ზელანდიამდე მივიდა

**სამშაბათს ხომალდი ახალი ზელანდიის ნავსადგურ ბლაფში მივიდა და დადგა საგეგმო დათვალიერებაზე. ორი კვირის განმავლობაში ყინულის ტყვეობაში მყოფი ეკიპაჟი თავს კარგად გრძნობს, ხომალდზე არანაირი ტექნიკური პრობლემა არ არის. ადრე იტყობინებოდნენ, რომ ხომალდმა მიიღო დაზიანება კორპუსში ნაპრალების სახით.**

### ნობელის პრემიის 27 ლაურეატმა მხარი დაუჭირა ბრიტანელი რაინდების წერილს პუტინისადმი „ანტიგეის" კანონის წინააღმდეგ

**მსახიობმა იენ მაკელენმა, რომელმაც წერილს ხელი მოაწერა, როგორც სასწაულმოქმედმა გენდალფმა და მისმა მეგობარმა ქიმიკოსმა ჰაროლდ კროტომ შეაგროვეს მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერების ხელმოწერები, რათა დაარწმუნონ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, გააუქმოს კანონი არასრულწლოვანთა შორის გეი-პროპაგანდის აკრძალვის შესახებ. მათ მოუწოდეს პუტინს მაგალითი გორბაჩოვისგან აიღოს.**

### კიმ ჩენ ინის და სიკვდილით დასჯილი ბიძის ნაცვლად ამიერიდან საფინანსო რეჟიმს განკარგავს



**შრომითი პარტიის დეპარტამენტი, რომელსაც უხელმძღვანელებს ჩრდილოეთი კორეის ლიდერის უმცროსი და კიმ ე ჩჟონი, პასუხისმგებელია კორეის სახალხო არმიაში ელექტროენერგიის, ქვანახშირის, სათბობის, ტანსაცმლისა და პირველადი მოხმარების სხვა საგნების მიწოდებაზე. თავდაპირველად მიწოდებას აწარმოებდა თავდაცვის სამინისტრო, მაგრამ ერთი წლის წინათ ყველაფერი შეიცვალა.**

### ცნობილი გახდა იარაღის მწარმოებელი რუსეთის ფედერაციიდან, რომელიც ჩაერთო სკანდალში კორუფციასთან დაკავშირებით საბერძნეთის თავდაცვის სამინისტროში

**ზოგიერთი მონაცემებით, რუსეთის კონტრაგენტებმა ქრთამის აღების მიზნით რამდენიმე მილიონი დოლარის ოდენობით საბერძნეთის სამხედრო ჩინოვნიკებთან გააფორმეს ორი გარიგება — საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ოსასთან" და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების „კორნეტთან" დაკავშირებით. „რუსეთის თავდაცვის ექსპორტში" აღნიშნავენ, რომ კონტრაქტები დიდი ხნისაა და მათთან არანაირი ურთიერთობა არ გააჩნიათ.**

### განქორწინებულმა ბრიტანელმა ქალბატონმა სასამართლოში ადვოკატებზე სარჩელი შეიტანა, როდესაც მიხვდა, რომ მათ წერტილი დაუსვეს მის ქორწინებას

**როგორც გამოირკვა, ქალბატონი პირწავარდნილი კათოლიკე ყოფილა და, შესაბამისად, განქორწინება მისთვის დაუშვებელი იყო. როდესაც ეს შეიმეცნა, ჯეინ მალკახი შეეცადა ბრალი იურისტებისთვის დაედო. მას მიაჩნია, რომ იურისტებმა გამოიჩინეს გულგრილობა, არ შესთავაზეს მას ალტერნატიული ვარიანტი. განქორწინებების ისტორიაში ცნობილია უფრო უცნაური შემთხვევებიც.**

### აშშ კონგრესმა შეათანხმა მთავრობის დაფინანსების კანონპროექტი, რომელიც გადადებული იყო ოქტომბრამდე

**კანონპროექტის თანახმად, 30 სექტემბრამდე სახელმწიფო სექტორის საჭიროებისთვის გამოიყოფა ერთი ტრილიონი დოლარი, რამაც უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების ორგანოებისა და საბიუჯეტო სფეროს შეუფერხებელი მუშაობა. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ორგანოები მუშაობენ დაფინანსების „დროებითი" განახლების წყალობით, რომელიც გათვალისწინებულია 15 იანვრამდე.**

**დაინტერესებულ მკითხველთა თხოვნით, მოქმედი კანონიდან გამომდინარე, განვმარტავთ: როგორი წესით ხდება სამოქალაქო კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ძალაში შესვლა; რა უფლებები და მოვალეობები აქვთ ფიზიკურ პირებს; გესაუბრებით მოქალაქეთა პატივისა და ღირსების დაცვის, პირის ქმედუუნაროდ ცნობის, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადების სამართლებრივ საფუძვლებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.**

**ვფიქრობთ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყნის ძირითადი კანონი არის საქართველოს კონსტიტუცია და როგორც სამოქალაქო, ისე კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები მას უნდა შეესაბამებოდეს. ერთი და იგივე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს კი გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი.**

**კითხვა: რა შემთხვევაში გამოიყენება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები სამოქალაქო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად?**

**ნოდარ ბოცვაძე.**

**პასუხი: სამოქალაქო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ავსებენ კანონის ნორმებს.**

კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალაში შედის მხოლოდ ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ.

**კითხვა: რომელია ძირითადი ოფიციალური ორგანო, რომელშიც ყველა კოდექსი, კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ქვეყნდება?**

**ნაირა ქემერტელიძე.**

**პასუხი: ასეთი ოფიციალური ორგანოა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“.**

კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს მისი გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს ახალი კანონი ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას ანდა თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი. ზოგადი ხასიათის კანონმა არ შეიძლება გააუქმოს სპეციალური კანონი, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს.

აღსანიშნავია, რომ იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს ძველი კანონის ამოქმედებას.

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, როგორი წესით უნდა მოწესრიგდეს კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი სამართლებრივი ურთიერთობები?**

**გურამ ონიანი.**

**პასუხი: კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (სამართლის ანალოგია). აქვე გასათვალისწინებელია, რომ სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ანალოგიით.**

კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. მნიშვნელოვანია, რომ კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი და არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. აღსანიშნავია, რომ ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო ურთიერთობებში, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნების პირების მიმართ.

სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო სამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუ ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, შეუძლიათ თუ არა სამოქალაქო ურთიერთობათა მონაწილეებს განახორციელონ კანონით გაუთვალისწინებელი რაიმე მოქმედება?**

**ლალი ჭეიშვილი.**

**პასუხი: სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.**

**უფლებათა ბოროტად გამოყენებისათვის სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები. ცალკეული ჩარევები ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით აკრძალულია.**

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – ე.ი. უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან; მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე, ხოლო ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებით და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან, მაგრამ თუ პირმა აღნიშნულ ასაკამდე იქორწინა (იგულისხმება, რომ დართეს ქორწინების სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში დარეგისტრირების უფლება), იგი უკვე ქმედუნარიანად ითვლება.

**კითხვა: კანონის თანახმად, ვინ ითვლება ქმედუუნაროდ?**

**მანანა აბაშმაძე.**

# ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი სამართლებრივი საკითხი

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**



**პასუხი: ქმედუუნაროდ ითვლება 7 წლამდე ასაკის მცირეწლოვანი (7-დან 18 წლამდე ითვლება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ); ასევე ის პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებულია სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში, სასამართლო აღიარებს მას ქმედუნარიანად.**

აღსანიშნავია, რომ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება არა მარტო 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი, არამედ სრულწლოვანი პირიც, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. კანონის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

**კითხვა: შეიძლება თუ არა მზრუნველობა დაუწესდეს სრულწლოვან პირს და თუ ეს კანონით გათვალისწინებულია, – რა შემთხვევაში?**

**ლალი ჭეიშვილი.**

**პასუხი: დიახ, სასამართლოს მიერ მზრუნველობა სრულწლოვან პირსაც შეიძლება დაუწესდეს, თუ იგი ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.**

ნებისმიერ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც დღეს მოქმედი კანონით მოიცავს სახელსა და გვარს. სახელის შესაცვლელად საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს შესაბამისმა ორგანომ.

**კითხვა: რომელი ორგანოს მეშვეობით შეუძლია პირს შელახვისაგან დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია?**

**დავით აბაიშვილი.**

**პასუხი: პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. პირს, რომლის პატივის ან ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის ამავე საშუალებებში, ასევე, მოსთხოვოს საინფორმაციო საშუალებებს მის მიმართ გამოქვეყნებული არასწორი ინფორმაციის უარყოფა.**

აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული პირობების დაცვა უნდა განხორციელდეს მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეულის მოქმედებით, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ბრალეულის ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

**კითხვა: შეიძლება თუ არა პირს უარი ეთქვას ისეთი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ან ჩანაწერებს მის შესახებ?**

**ინგა ნეზიერიძე.**

**პასუხი: არა, არ შეიძლება. პირს უფლება აქვს, გაეცნოს მასზე არსებულ პერსონალურ მონაცემებს და ჩანაწერებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ/ქონებრივ მდგომარეობასთან ან სხვა კერძო საკითხებთან და მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.**

ფიზიკურ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ მის საცხოვრებლად მიიჩნევა ის ადგილი, რომელსაც იგი ირჩევს. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა – მეურვის საცხოვრებელი ადგილი.

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს პირი უგზო-უკვლოდ დაკარგულად და გარდაცვლილად?**

**ჯუმბერ გოგოძე.**

**პასუხი: დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გარდაცვლილად პირს სასამართლო გამოაცხადებს იმ შემთხვევაში, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები აღნიშნული პირის ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება. აქვე გაცნობებთ, რომ სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან.**

გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს. ასევე მას უკან უნდა დაუბრუნდეს ის ქონება, რომელიც სხვა პირმა სასყიდლით შეიძინა, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შეძენისას მყიდველმა იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.

**კითხვა: სამართლებრივად როგორ გადაწყდება ქონების დაბრუნების საკითხი იმ შემთხვევაში, როცა გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფოს, რომელმაც მოახდინა მისი რეალიზაცია, მაგრამ შემდეგ ეს პირი ცოცხალი აღმოჩნდა?**

**ლონდა გოგორიშვილი.**

**პასუხი: თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფოს და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.**

დღეს შევეხეთ იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობისა და უფლებაუნარიანობის სამართლებრივ მდგომარეობას, ხოლო ჩვენი გაზეთის სხვა ნომრებში იურიდიულ პირებთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებზე გავამახვილებთ მკითხველთა ყურადღებას.

თუ დაინტერესებულ მკითხველებს კვლავ დაგებადებათ კონკრეტული შეკითხვები, გთხოვთ, მოგვწეროთ რედაქციის ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან შეგვეხმიანოთ ტელეფონის შემდეგ ნომერზე: 593359909 ან 595051177 და გპირდებით, თქვენისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე აუცილებლად გაგიწევთ კანონიდან გამომდინარე, ამომწურავ უფასო იურიდიულ კონსულტაციას.

## ჟორო, საიდან მოდიხარ?!

# მერაბ ჟორდანიას განცხადება „ტორპედოს“ თემაზე



**მერაბ ჟორდანიამ განცხადება გააკეთა გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ქუთაისის „ტორპედოს“ შეძენას აპირებდა. არნემის „ვიტესის“ ყოფილმა მფლობელმა თქვა, რომ კლუბი არ შეუძენია, თუმცა მზადაა, კონსულტაციების სახით დაეხმაროს მას:**

„მერაბ ჟორდანია ფეხბურთში გიორგი დემეტრაძის დაბრუნებას და „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელად რევაზ ძოძუაშვილის დანიშვნას მიესალმება და მზადაა კონსულტაციის სახით მათ ნებისმიერი პრობლემის მოგვარებაში დაეხმაროს.

ამასთან, ბატონმა მერაბ ჟორდანიამ დასძინა, რომ გავრცელებული ინფორმაცია მისი მხრიდან ქუთაისის „ტორპედოს“ შეძენის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება“.

**გიორგი შოთაძე**

## ჭიდაობა

# ორწლიანი დისკვალიფიკაცია გარდაუვალია





**რაც დრო გადის, სრულიად სამართლიანად, დოპინგკონტროლი მკაცრდება და აკრძალვა სულ უფრო მეტ პრეპარატს ეხება. სამწუხაროდ, ზოგიერთ სპორტსმენს ეს, ეტყობა, არ ადარდებს და სავალალო ფაქტებამდე მივდივართ. შარშან ქართველ ძალოსანთა „ჩავარდნის“ ფაქტზე გიამბეთ, ამ ახალ წლებზე კი მოჭიდავეთა ახალ სკანდალზე გვიხდება საუბარი — დოპინგზე ერთბაშად ორი ქართველი ფალავანი გამოიჭირეს:** თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის მოქმედი ჩემპიონი გიორგი ედიშერაშვილი (55 კგ) და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის 2012 წლის ევროპის ვერცხლის მედალოსანი ლევან არაბული (120 კგ). შარშან 8-10 ნოემბერს მოსკოვში გამართულ „ევროპის ერთა თასზე“ აღებულ მათს სინჯებში დადასტურდა აკრძალული პრეპარატები, თანაც ისეთი დოზით, რომ განმეორებით ტესტზე ორივე სპორტსმენმა უარი თქვა. მათ ორი წლით დიდი სპორტიდან მოკვეთა ემუქრებათ (საბედნიეროდ, ჯერ ძალაში არ შესულა ახალი დებულება, რომელიც დოპინგის გამოყენების პირველსავე შემთხვევაში ოთხწლიან დისკვალიფიკაციას ითვალისწინებს). საჯელის ვადა 2013 წლის 13 ნოემბრიდან აითვლება, 2015 წელს კი სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი ლას-ვეგასში სექტემბრის დასაწყისშია ნავარაუდები. დასჯილ ქართველ მოჭიდავეებს, რომლებიც ამ ორი წლის განმავლობაში ნაკრებთან ერთად ვერ ივარჯიშებენ, ინდივიდუალურად სათანადოდ მომზადების შემთხვევაში დისკვალიფიკაციის შემდეგ საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირზე თუ ექნებათ რიოს ოლიმპიადის საგზურების მოპოვების შანსი. სპორტის სამინისტრომ და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ორივე ფალავანს ხელფასებიცა და პრემიებიც მოუხსნა.

საქართველოს ანტისადოპინგო სააგენტოს წარმომადგენლების განმარტებით, ინტერნეტით გამოწერილი პრეპარატების თვითნებურად მიღებამ ნიჭიერი სპორტსმენების — ედიშერაშვილისა და არაბულის კარიერა შეაფერხა, რაც სხვებისთვის ახლა მაინც უნდა გახდეს სამაგალითო.

**ლექსო ცინცაძე**

## გემოვნებაზე არ დაობენ

# „ოქროს ბურთი“: ქართველთა არჩევანი



**საინტერესოა, როგორი იყო ქართველთა არჩევანი 2013 წლის „ოქროს ბურთის“ გამოკითხვაში. როგორც იცით, ფიფას წევრი თითო ქვეყნიდან ნაკრების მწვრთნელი, კაპიტანი და მედიასაშუალება აგზავნის სამეულს.**

**თემურ ქეცბაიას** რჩეული სამეული ასეთი იყო: 1. ფრანკ რიბერი, 2. ლეო მესი, 3. კრიშტიანუ რონალდუ. როგორც ხედავთ, ქეცბაიას სია დაემთხვა საბოლოო სამეულს, თუმცა უკუთანამიმდევრობით.

მედიასაშუალებიდან უკვე აღარარსებული „სარბიელის“ რედაქტორმა **ზურაბ ფოცხვერიამ** ასეთი სამეული აირჩია: 1. კრიშტიანუ რონალდუ, 2. ლეო მესი, 3. ფრანკ რიბერი. აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ ადგილები სწორედ ასე განაწილდა.

რაც შეეხება ნაკრების კაპიტან **ჯაბა კანკავას** არჩევანს, მის მიერ დასახელებული ფავორიტებიდან ვერცერთი ვერ მოხვდა სამეულში. აი, კანკავას სამეული: 1. ანდრეს ინიესტა, 2. ანდრეა პირლო, 3. ედინსონ კავანი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ძიუდო

# შუკვანი აზერბაიჯანელია!





**იყო დრო, საქართველოდან დასტა-დასტა რომ მიდიოდნენ სპორტსმენები სხვა ქვეყნებში ბედისა და კეთილდღეობის საძიებლად, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა და ამგვარი სიტუაცია ისევ თუ შემობრუნდებოდა, აღარ გვეგონა.** თუმცა ამქვეყნად გასაკვირი არაფერი ყოფილა. და აი, ახალი ამბავიც — ძიუდოში ევროპის ვიცე-ჩემპიონი ბეთქილ შუკვანი (60) ამიერიდან საერთაშორისო სარბიელზე აზერბაიჯანის დროშის ქვეშ იჭიდავებს და ჩვენი მეზობლების სპორტულ ღირსებას დაიცავს. პეტერ ზაიზენბახერმა, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია, ქართველი ფალავანი იაპონიაში წაიყვანა საწვრთნელ შეკრებაზე. შუკვანმა 2012 წლის აგვისტოში ოლიმპიადაზე, შარშან სეზონის დასაწყისში კი პარიზულ დიდ სლემზეც საქართველოს სახელით იჭიდავა, ასე რომ, მას ჩვენი სახელით გამოსვლის ორწლიანი წყვეტა არ აქვს. ამდენად, უნებართვოდ ვერსად წავიდოდა.

როგორც ირკვევა, შუკვანისთვის წასვლის ნება ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასკომს მიუცია, რადგან თავად სპორტსმენს უნდოდაო წასვლა!? გამოდგება ეს ვითომ გამამართლებელ არგუმენტად? ცხადია, ძნელია, უარი უთხრა ადამიანს სხვაგან გადაბარგებაზე (მით უმეტეს, ლამის მთელი ქვეყანაა უცხოეთში გაკრეფილი), თუ იქ გასამრჯელოდ 3000 ევროს ჰპირდებიან, მაგრამ სამშობლო?!

უნებურად ბარათაშვილის სიტყვები გახსენდება: „ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს! ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს!.. მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა“?.. არადა, ცარიელი პატრიოტიზმითაც ოჯახს რომ ვერ არჩენ?!

და მაინც, ცამდე მართალი იყო ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, ერთ სპორტსმენს რომ მიახალა, სამშობლოს არ ევაჭრებიანო!...

**ლაშა დიდია**

## ციგაობა

# კვარცხლბეკამდე ნახევარი სანტიმეტრი დააკლდა

**ლატვიის ქალაქ სიგულდაში დამთავრდა საციგაო სპორტში მსოფლიო თასის გათამაშების მე-4 ეტაპი და ჭაბუკებში ევროპის პირველობა, რომლებშიც ბაკურიანელებმა — 16 წლის გიორგი სოლოიანმა და ვიქტორ ფერაძემაც მოსინჯეს ძალები. განსაკუთრებით სოლოიანმა იყოჩაღა — ერთადგილიანი ციგით მან ორი დაშვების ჯამში მე-4 ადგილები დაიკავა და ბრინჯაოსმედალოსან იტალიელ მეტოქეს 0.002 წამით ჩამორჩა.** ჩემპიონობა ავსტრიელმა სპორტსმენმა მოიპოვა, ხოლო მეორე ადგილზე ლატვიელი მოციგავე გავიდა. ვიქტორ ფერაძე მსოფლიოს თასის მე-4 ეტაპზე მე-15 იყო, ევროპის პირველობაზე კი მე-13 ადგილი ხვდა. ამ შეჯიბრებისთვის ორივე სპორტსმენი ციგაობაში მთავარი მწვრთნელის — ფელიქს ქუმარიტაშვილის ხელმძღვანელობით სამი თვის განმავლობაში ნორვეგიასა და ლატვიაში ვარჯიშობდა. ახლა ისინი ბაკურიანში გადიან საერთო ფიზიკურ მომზადებას.



**ფელიქს ქუმარიტაშვილი:** „სიგულდაში სპორტსმენებმა 1050-მეტრიან და 13-მოსახვევიან ტრასაზე იასპარეზეს. კონკურენცია მაღალი იყო. კარგად გამოვიდა გიორგი სოლოიანი, რომელიც შარშან მსოფლიოს თასის ეტაპზე მეექვსე იყო, ამჯერად კი თანატოლთა შორის მსოფლიოს თასზეც და ევროპის პირველობაზეც მეოთხე ადგილები დაიკავა, თანაც მესამე ადგილზე გასულ იტალიელს ნახევარი სანტიმეტრით ჩამორჩა. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ახალ სეზონში მსოფლიოს თასის ექვსივე ეტაპსა და 2015 წლის ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობაზე (ავსტრია) გამოსვლას ვგეგმავთ. რაც შეეხება ბაკურიანში ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის 380-მეტრიან საციგაო ტრასას, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დახმარებით ის 2014 წელს უნდა აშენდეს და საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებს.“

**გივი გაგუა**

## ინტერნეტიდან

# ამბავი კრისტინაისი, ზღაპრად მოთხრობილი



**იყო და არა იყო რა, ესპანეთის მრავლისმნახველ მიწაზე ცხოვრობდა გოგონა, სახელად კრისტინა პედროჩე. კრისტინას ჰქონდა დიდი მკერდი და მკერდზე უფრო დიდი ამბიცია იმისა, რომ მთელს მსოფლიოში ცნობილი და წარმატებული ადამიანი გამხდარიყო.**

კრისტინამ საკუთარი ამბიციის დასაკმაყოფილებლად მოდელობას მიჰყო ხელი და სადაც კი ფერად-ფერადი ჟურნალი ნახა, ყველგან მივიდა და საკუთარი ფოტოებით დაამშვენა ამ ჟურნალთა ყდები. გულისსწორებიც სულ ტალიკ-ტალიკი ბიჭები ჰყავდა, მაგრამ სულ ფიქრობდა, რომ უფრო მეტი პოპულარობისათვის რაღაც აკლდა და სჭირდებოდა.

და აი, მიაგნო კიდეც ამ „რაღაცას!“. კრისტინა პედროჩემ განაცხადა, რომ სხვა ლამაზმანებისგან განსხვავებით, მას საფეხბურთო გრანდები არ იზიდავს და მოკრძალებული „რაიო ვალეკანოს“ ქომაგია. რაიო? კრისტინა „რაიო ვალეკანოს“ ქომაგიაო? — გაიგეს თუ არა ესპანელმა მოკალმეებმა, წერეს და წერეს სტატიები ამ გოგონას შესახებ.

„და განიხარა გულმან კრისტინაისი და პოპულარ ქმნილმან ქალმა ესე — არღარა დამალა არცა მკერდი და არცა რაიმე, რაც კი სხეულსა ზედა ჰქონდა“.

**როსტომ რაჭველიშვილი**

საზოგადოება და ხარისხი

# კარგია რომ იყოს და იაფია

**პოლიტიკური სპეკულაციების საგნებს შორის, რომელსაც კოალიცია ქართული ოცნების მთავარი ოპონენტი ნაცმოძრაობის წევრები განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ, ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრირების კურსია, რომლისგან ვირტუალური გადახვევაც კი ვითომდა ისე ადარდებთ, რომ ლამის „ღამეებს თეთრად“ ათევენ.**

ამასობაში კი თითქმის ათწლეულის მანძილზე, ნაციონალური მოძრაობის ქვეყნის სათავეში ყოფნის ხანაში, ევროკავშირის ქვეყნების თანამეგობრობის წევრობის კანდიდატად გასახდომად რეალური ნაბიჯი არა თუ არ გადაუდგამთ, პირიქით, ხშირად სახელმწიფოს უკან ქაჩავდნენ.



ყოველივე ზემოთქმული მავანმა უაზრო ქილიკად და ლიტონ სიტყვებად რომ არ ჩაგვითვალოს, კონკრეტულად ვიტყვით, რომ ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში მკაცრი წესების დაცვას, მრავალ სხვასთან ერთად, საზოგადოებრივი ყოფის ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებშიც მოითხოვს, როგორებიცაა **სურსათის უვნებლობა, პროდუქციისა და მომსახურების სტანდარტები, სანიტარიული და ფიტოკონტროლი და ა.შ.** თუ რა მიმართულებით მოქმედებდა საქართველოს მთავრობა ბოლო ათწლეულის, უფრო სწორად კი ქვეყნის „მესაჭედ“ ნაცმოძრაობის ყოფნის დროს, ამას თუნდაც სანიტარიული და ფიტოკონტროლის სისტემის სრული მოსპობა და მისი ფუნქციების საამისოდ სრულიად მოუმზადებელ საბაჟო სამსახურისთვის გადაცემა მოწმობს. აღარაფერს ვამბობთ, ვთქვათ, იმავე სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემის მოშლასა და, ზოგადად, მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე.

სწორედ ამ მტკივნეულ საკითხს ეხება საქართველოს ხარისხის ასოციაციის გამგეობის ამასწინანდელი განცხადება, რომლის არსი ის არის, რომ **ევროკავშირის სრულფასოვანი პარტნიორი ქვეყნის სტატუსის მისაღწევად, საქართველომ უაღრესად მოკლე ვადაში ამ საერთაშორისო გაერთიანების მოთხოვნების შესაბამისი რეგულაციები უნდა დაამკვიდროს, დროულად დაიწყოს ქვეყნის შიგნით ევროსტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესები, რისთვისაც საჭიროა მთელ რიგ გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელება.**

„ბოლო ათი წლის განმავლობაში, ბაზრის წნეხისგან განთავისუფლებისა და მეწარმეთა დახმარების საბაბით, შეჩერდა თითქმის ყველა რეგულაცია, გაუქმდა კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ და, როგორც საბაჟო საზღვარზე, ასევე სამომხმარებლო ბაზარზე, ყველა სახეობის პროდუქციაზე ხარისხისა და უსაფრთხოების კონტროლი საერთოდ უგულებელყოფილ იქნა. აღნიშნულმა გარემოებამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ადგილობრივ მეწარმეობას და გაურკვეველ პირობებში ჩააყენა მომხმარებელი, რომელმაც ხეირიანად არც კი იცის, თუ რა პროდუქციას მოიხმარს“, — აღნიშნულია საქართველოს ხარისხის ასოციაციის ხელმძღვანელობის განცხადებაში. ამასთან, გამგეობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ქვეყანაში ამ მხრივ შექმნილი აშკარად საგანგაშო მდგომარეობისა, 2005 წელს ორგანიზაცია ევროპის ერთ-ერთ ავტორიტეტულ სტრუქტურაში, კერძოდ, კონტინენტის ხარისხის ორგანიზაციაში გაწევრდა. ამის შემდგომ, ევროპის ხარისხის ორგანიზაციის მხარდაჭერითა და დახმარებით, საქართველოს ხარისხის ასოციაციამ არაერთი პროექტის განხორციელება შეძლო, **რომელთა მიზანი ქვეყნის საწარმოებსა და კომპანიებში ევროპაში მიღებულ სისტემასთან ჰარმონიზებული ხარისხის ადმინისტრირების თანამედროვე სისტემების დანერგვა-დამკვიდრება, ხარისხის კონტროლის პროფესიონალთა მომზადება, მაღალხარისხიანი პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების წარმოჩენა-წახალისება და, საბოლოო ანგარიშით, მომხმარებელთა, ანუ თითოეული ჩვენგანის უფლებათა დაცვა იყო.**

წლების განმავლობაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში შექმნილი უაღრესად აღმაშფოთებელი მდგომარეობის გამოსასწორებლად, ქვეყანაში ამ მხრივ პროგრესული სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგია და მის გასატარებლად მომსახურება-მიწოდების ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ქმედითი ეროვნული პროგრამები უნდა შემუშავდეს. გამკაცრებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია შესაბამისი მაკონტროლებელი, მათ შორის საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი მექანიზმის ჩამოყალიბება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს ხარისხის ასოციაცია მზადყოფნას გამოთქვამს სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთობლივად ხარისხის სფეროში ეფექტიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისთვის სათანამშრომლოდ, რაც, ჩვენი აზრით, წარმატების მიღწევის საწინდარი იქნება.

**დალი ხუნდაძე**

დედაქალაქი

# ვაკის პარკის „ხაჭაპური“

**ადრეც რამდენჯერმე ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ თავის დროზე თბილისი გამწვანების სიუხვით სხვებისგან გამორჩეული ქალაქი იყო, თუმცა კი სხვა ქალაქების მონახულების შემდეგ აშკარად გაწბილებული დავრჩი. ეს გრძნობა, დარწმუნებული ვარ, მარტო მე არ გამჩენია, ამის თაობაზე გულისტკივილი სხვადასხვა თაობის თბილისელს არაერთხელ გამოუთქვამს.**

რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთი უცხოური ტელეარხის მოგზაურობისადმი მიძღვნილ გადაცემაში ასეთი სტატისტიკა იყო მოწოდებული: თურმე შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში ერთ სულ მოსახლეზე... 100 კვადრატული მეტრი მწვანე საფარი მოდის(!), რასთან შედარებითაც სიმწვანით განთქმული ლონდონი ერთმეტრიანი მაჩვენებლით გახრიოკებულ უდაბნოდ შეიძლება მოინათლოს! ჰოდა, აბა, თბილისზე რა შეიძლება ითქვას ამის შემდეგ? თანაც ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ დღესდღეობით თბილისის მერია კვლავაც უსასტიკესი მტერივით განაგრძობს საკუთარი ქალაქისა და მოქალაქეთა კეთილდღეობასთან ხელჩართულ ბრძოლას, რაც დედაქალაქის ისედაც მწირ მწვანე სამოსელს სრულ გაძარცვას უქადის.

ამ მხრივ ქალაქის თავკაცებსა და მათ მფარველებს განსაკუთრებით ვაკის პარკი „ეგემრიელებათ“, რის თაობაზეც ადრე რამდენიმე მასალა გამოვაქვეყნე. იმ მასალებში ლაპარაკი იყო კულტურული ძეგლის სტატუსის მქონე პარკის მიწების გასხვისების სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების (საელჩოების, კერძო საცხოვრებელი სახლების, კომპანიების ოფისების, კაფე-რესტორნების და ა. შ.) ასაშენებლად, აგრეთვე მოსახლეობის მიერ მისი ტერიტორიის ნაწილის მითვისებას.

მაგრამ რა, შეაყარე კედელს ცერცვი...

საგაზეთო კრიტიკა ჯიბის გასქელების მსურველებზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენს, თანაც, როგორც ჩანს, ვაკის პარკის დანაწევრების პროცესის ტაიმერი, რომლის შენიღბვას შარშან ზაფხულის მიწურულიდან მოყოლებული თბილისის მერია მოჩვენებითი სარეაბილიტაციო სამუშაოებით ამაოდ ცდილობს, დიდი ხნის ჩართულია, დროს კი, მოგეხსენებათ, უკუსვლა არა აქვს. ამას მოწმობს ყოფილ რესტორან „ბუდაპეშტის“ ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად უკვე გათხრილია მომავალი სასტუმროს საძირკველი, ერთიანად გადამხმარი მრავალწლიანი ვეება ხეები. მათი დაღუპვის ამბავი საგანგებოდ რომაა მოწყობილი, ამაში ეჭვი არც პარკის გარშემო მცხოვრებ მოსახლეობას, არც იქ სასტუმროს მშენებლობით აღშფოთებულ საპროტესტო აქციების აქტივისტებს არ ეპარებათ.

არადა, რა უნდა მოვიმოქმედოთ თბილისელებმა, რომლებსაც ჩვენივე „მსახური“ მერიის მოხელეები უსინდისოდ გვძარცვავენ და წარბსაც არ იხრიან? ერთადერთი საშველი, ალბათ, ისევ სასამართლოა, რომელმაც დროზე უნდა შეაჩეროს ვაკის პარკის „ხაჭაპურივით დანაწევრების“ პროცესი, თორემ ხალხის უკიდურესი აღშფოთების მიუხედა-



ვად, რასაც თანმხლები ფოტოები უტყუარად მოწმობს, მავანნი თავიანთი ზრახვების განხორციელებას განაგრძობენ.

მომავალი სასტუმროს ამოთხრილი საძირკვლის შემოვლებულ ღობეზე რომელიღაც გამწარებულ ჩვენს თანამოქალაქეს კინოფილმ „ჯარისკაცის მამიდან“ ცნობილი კადრის მოზრდილი ფოტო გამოუკრავს წარწერით „ია ზდეს გულიაიუ“. არის სხვა აღშფოთებული წარწერებიც: „არ დამენახო ახლომახლო, არ დაგინახო, რომ ხელი ახლო!“, „გადავარჩინოთ ხეები, გადავარჩინოთ მომავალი!“, „არ მოჭრა, არ მოჭრა — დარგე!“ და სხვ.

თუმცა, აღშფოთების ადრესატები თავიანთ საქმეს „მოგუდულად“ კვლავაც განაგრძობენ...

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

სანთელი

## გიული ჯალაღანიას მონატრება



15 იანვარს ჩვენთან განშორების ტკივილიანი და ცრემლიანი სამი წელი ხდება.

ძნელია უშენობა, წახვედი და თან წაიღე სიხარული და ლაზათი, შენ ხომ სანიმუშო და და მამიდა იყავი ჩვენთვის.

თბილისში გიცნობდნენ, როგორც სიკეთის მთესველს, ყველას დამხმარეს და საყვარელ ადამიანს. ამიტომ შეგარქვეს „გულო მამი“... უანგაროდ, უღალატოდ და ერთგულებით ემსახურებოდი სუყველას და ამ დევიზით განვლე შენი ცხოვრების გზა.

გული გვწყდება, რომ ვერ მოესწარი ჩვენი ოჯახის ბედნიერებას.

დარწმუნებული ვარ! ძალიან გაგიხარდათ ჩვენი საყვარელი თაგულისთან შეხვედრა. ის ხომ დედას საყვარელი ძმისშვილი იყო.

უფალს შევთხოვ, შენი დედ-მამის გვერდით მშვიდად იძინო და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ ცათა სასუფეველი.

**ოჯახი**

## ჩვენი გიული

ოჰ, ეს დაუნდობელი სიკვდილი! ვინ იცის, რამდენჯერ გვიკლავს გულს, სანამ ამ ქვეყნიდან გუდა-ნაბადს აგვაკრეფინებდეს! ერთხელ ნამდვილად შენი უდროო სიკვდილით მოგვიკლა გული, ძვირფასო გიული, შენს მეგობრებს და კოლეგებს, ყველას, ვინც შენი, გიული ჯალაღანიას, როგორც უკეთილშობილესი ადამიანის, ფასი იცოდა.

შენ ნამდვილად განუმეორებელი იყავი, ნამდვილად არცთუ ადვილი მისაბაძი ნიმუში იყავი ქართველი ქალობისა და საერთოდ ადამიანობისა! ამიტომ არის, რომ ეს სამი წელიწადი ჩვენი განშორების მანძილად ვერ იქცა. შენ თან არ წაგილია არც ჩვენი სიყვარული და არც შენი წილი დრო. ეს დრო ისევ ჩვენთან არის და ამ დროში შენ ისევ ჩვენთან ხარ. ჩვენთან იქნები ხვალაც, ზეგაც, ჩვენთან იქნები გრძელ გაღმა სოფელში შეხვედრამდე.

შენი სიყვარული ოდნავადაც არ გაგვნელებია.

**შენი დიდი ქალობის მადლიერი მეგობრები**



**ცისანა ჩიხლაძე, ოთარ, ვასიკო, თემურ, ომარ კიკნაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის მეგობარი**

**გივი შალვას ძე ასათიანი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**მიხეილ გოცირიძე იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი მეგობარი**

**გივი ასათიანი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტს, ემდ პროფესორს როზეტა ასათიანს ძმის**

**გივი შალვას ძე ასათიანის**

**გარდაცვალების გამო.**

დაუვიწყარი

## აქაც კარგი კაცი იყავ...

კაცი ბჭობდა და სატანა იცინოდაო. ოთხმოცი წლის იუბილე უნდა ეზეიმა აფხაზეთიდან დევნილ პედაგოგს გურგენ ბურჯალიანს. შობა-ახალი წელი მიულოცა ნათესავ-მეგობრებს ლამაზი შრომითი ბიოგრაფიის კაცმა, კაცურკაცობის ეტალონმა და... მოულოდნელად გარდაიცვალა.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი იმოღვაწა მასწავლებლად ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალი კინდღის საშუალო სკოლაში. ასწავლიდა და აყვარებდა შრომას (დურგლობა, ავტოსაქმე) მოსწავლე ახალგაზრდობას. სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ მუშაობდა რუსთავში, შემდეგ — კინდღის ჩაის ფაბრიკაში...

დიდებული მასწავლებელი იყო და სოფლის თვალისჩინი.

გასაოცარი, მრავალმხრივი ინტერესების მქონე გახლდათ. ხელოვნების ყველა სფეროში ერკვეოდა. გატაცებული იყო მხატვრული ლიტერატურით, ისტორიით, საოჯახო ბიბლიოთეკაში ფილოლოგებს არ ექნებათ იმდენი მხატვრული ლიტერატურა, მსოფლიო კლასიკის ნიმუშები, რამდენიც მას ჰქონდა. ახლახან დაგვირეკა და გვთხოვა, წიგნი „ჯუზეპე ვერდი“ მაშოვნინეთო. ამიტომაც ჰქონდა ფაქიზი, მოსიყვარულე გული. დევნილობამ ამ გულს გაუსაძლისი დარტყმა მიაყენა. უფრო მეტი, რამდენიმე წლის წინათ ძვირფასი მეუღლე ლამარა ხუხუა გამოეცალა ხელიდან, შარშან კი — ერთადერთი ძმა გურამ ბურჯალიანი...

ცხადია, ამდენ სევდა-ნაღველს მისმა გულმაც ვერ გაუძლო... მშვიდობით, კეთილო კაცო, ძვირფასო გურგენ! შენ ჩაგიხუტა ქუთაისის მიწამ და ის არის შენი მარადიული სავანე. შენზეა ზედგამოჭრილი ხალხური ფრაზა — „აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა“...

**ალექსანდრე ხუხუა**

# გაუზომეთ ქმარს წელი!



## ყველა სექსუალურად აქტიური მამაკაცი ღალატობს თუ არა ცოლს?

**ჩემი დაქალის ქმარმა, როდესაც ცოლმა გაუგო, რომ მას ღალატობდა, პირდაპირ ასე უთხრა მეუღლეს: „როგორ გგონია? შენ ხომ იცოდი, რომ სექსში მე ნამდვილი ტერორისტი ვარ". გამოდის, რომ სექსუალური მამაკაცი — აუცილებლად კაზანოვა უნდა იყოს?,** — კითხულობს ერთ-ერთი მკითხველი.

ამერიკელმა მეცნიერებმა ატლანტაში ამასთან დაკავშირებით გამოკვლევა მოაწყვეს. რაც მაღალია მამაკაცის ტესტოსტერონის დონე სისხლში (ეს მამაკაცის მთავარი ჰორმონია) და რაც ნაკლები დრო გადის მის ერექციებს შორის, მით მეტია მისი მხრიდან ღალატის ალბათობა. მაღალი პოტენცია პოლიგამობის პროვოცირებას ახდენს (ესე იგი მისწრაფებისა — „ითხოვოს" რაც შეიძლება მეტი ქალი). და პირიქით, თუ ტესტოსტერონი დაქვეითებულია, ეს შესანიშნავი სქესისადმი მიდრეკილებას ამცირებს. სხვათა შორის, თქვენი მამაკაცის ტესტოსტერონის დონის გაგება ძალიან ადვილია. საჭიროა უბრალოდ... გაზომოთ მისი წელი. თუ იგი 94 სანტიმეტრზე ნაკლებია, მისი ტესტოსტერონის დონე მაღალია. თუ 115 სანტიმეტრზე მეტი — მაშინ დაბალია. განიერი წელი არის იმის სიგნალი, რომ თქვენ საყვარელ მამაკაცს სიმსუქნე აწუხებს. სიმსუქნე ათეროსკლეროზის პროვოცირებას იწვევს, ამას კი, თავის მხრივ, სასქესო ორგანოების სისხლძარღვთა დასუსტებასთან მივყავართ და მამაკაცის ვნებაზე ცუდად მოქმედებს. მაშ, რა უნდა ქნან ტემპერამენტიანმა ქალებმა, რომლებსაც სურთ ჰყავდეთ ერთგული ქმრები, და, ამავე დროს, არ ძვრებოდნენ კედელზე სექსუალური „შიმშილის" გამო? ხომ ისე გამოდის, რომ სუსტ სქესს ქორწინებაში მოვლენათა განვითარებაში მხოლოდ ორი ვარიანტი აქვს: ქმარი მგზნებარეა, მაგრამ გარე-გარე დაიარება ან არის ერთგული და მეოჯახე, თუმცა, ლოგინში მთებს არ აბრუნებს...



**— უეჭველია, ფიზიოლოგიის თვალსაზრისით, ყველაფერი სწორედ ასეა! ლოგიკურია: თუ ერთ მამაკაცს აქვს ერექცია და მიახლოების სურვილი დღეში ერთხელ, მეორეს კი — ერთხელ ორ კვირაში, იმის ალბათობა, რომ პირველი მოაწყობს ლაშქრობას მარცხნივ, გაცილებით მეტია, — ამბობს ფსიქოლოგი და სქესების ურთიერთდამოკიდებულებათა შესახებ წიგნების ავტორი ანეტა ორლოვა. — მაგრამ ეს სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას განვიხილავთ, როგორც მხოლოდ ბიოლოგიურ ორგანიზმს. მაგრამ ჩვენ მაინც ხომ მხოლოდ ცხოველები არა ვართ, ჩვენ ადამიანებიც ვართ, ჩვენ გვმართავს არა მხოლოდ ინსტინქტები, არამედ სოციალური წესებიც, სულიერი ნორმებიც. სულისკვეთება და ნებისყოფა კი მამაკაცებს მრავალჯერ უფრო ძლიერი აქვთ, ვიდრე ქალებს. ამიტომ ერთგულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორაა აღზრდილი მამაკაცი, როგორია მისი საბაზო ღირებულებანი, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის ერთგულების, პასუხისმგებლობის, სამართლიანობის, პატიოსნების გრძნობები, სჯერა თუ არა მას უფლისა, როგორ ეკიდება საქორწინო კავშირების სიწმინდეს. მამაკაცი — პიროვნებაა მაშინაც კი, თუ მას ყველაფერი წესრიგში აქვს ტესტოსტერონთან დაკავშირებით, უბრალოდ შეუძლია თავად შეიზღუდოს თავი და ერთგვარად შევიდეს კონფრონტაციაში თავის ფიზიკურ „მესთან" დაკავშირებით.**

### მამები უფრო ერთგულები არიან?

**უფრო მეტიც, გასაოცრად ბრძენია ბუნება: ცოლის ფეხმძიმობის დროს და ბავშვის დაბადებიდან პირველ თვეებში მამაკაცის სისხლში იზრდება ოქსიტოცინის — ერთგულების ჰორმონის დონე და ეცემა ტესტოსტერონის დონე. მაგრამ მას შემდეგაც კი, როდესაც ტესტოსტერონი აღდგება წინა ოდენობით, მრავალშვილიან და სექსუალურ მამაკაცს შეუძლია იყოს ერთგული, თუ მისთვის მამობა დიდი ღირებულებაა. სანამ უარს იტყოდეს ღალატზე, ასეთი ქმარი და მამა ათჯერ დაფიქრდება, ხომ არ აღმოჩნდება იგი იმ სიტუაციაში, როდესაც უნდა გააკეთო არჩევანი ახალ ვნებათა აფეთქებასა და იმ ტრავმას შორის, რასაც ბავშვებსა და ცოლს მიაყენებს.**

— თუ ვსაუბრობთ სექსუალურობის კავშირზე და გარე-გარე სიარულზე, მხედველობაში უნდა გვქონდეს: ღალატიც სხვადასხვაგვარია, — განაგრძობსქალბატონი ანეტა. — ხშირად მამაკაცისთვის, რომელიც არის აქტიური, მაგრამ აქვს ოჯახური ღირებულებანი, მნიშვნელოვანია ლამაზ ქალებთან ფლირტის თავად მომენტი. ის შეიძლება არც შევიდეს სექსუალურ კავშირში, არამედ შემოიფარგლოს, მაგალითად, ეროტიკული მიმოწერით ელექტრონული ფოსტით ან სოციალურ ქსელში, ეს-ემესით, მოხვევით, კოცნით. ასეთი ქცევა ხშირად შემოქმედებითი, კრეატიული ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი. ეს უუმჯობესებს მათ განწყობილებას, ზრდის ემოციურ ტონუსს. მამაკაცი კვლავ გრძნობს თავს მამლად — დამპყრობლად. და, ამასთან ერთად, არანაირი სინდისის ქენჯნა: სექსი ხომ არ ყოფილა. უფრო მეტიც, მამაკაცს ძლიერი სქესობრივი კონსტიტუციით შეუძლია უღალატოს კიდეც ცოლს, ვინაიდან მას გატაცება გაუჩნდა. მაგრამ ეს იქნება მხოლოდ ღალატი სექსუალური, არასულიერი, ამის შესახებ შეიძლება ვერავინ ვერასოდეს გაიგოს, და მისი მოქმედებები უარყოფითად არანაირად არ აისახება ოჯახზე.

და სრულიად სხვაგვარი სურათი შეიძლება შეინიშნებოდეს მამაკაცზე სუსტი სქესობრივი კონსტიტუციით. მან შეიძლება უღალატოს ერთხელ მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, მაგრამ, ამავე დროს, შეუძლია შებრუნდეს და მივიდეს ამ ქალთან, მიატოვოს თავისი ოჯახი.

**ასეთი უცნაური ქცევის ახსნა ასეთია:** თუ თქვენი ქმარი სექსუალურად აქტიურია და ქორწინდება 25-ზე მეტი წლის ასაკში, ეს ნიშნავს, რომ მას უკვე ჰქონდა გამოცდილება ურთიერთობაში ქალის სექსთან. ამიტომ ყველაზე ხშირად ის ირჩევს ცოლს შეცნობით, დარწმუნებულია თავის თავში და თავის მამაკაცურ უნარში. ასეთ მამაკაცს ესმის: ანატომიურად სუსტი სქესის ყველა წარმომადგენელი თუ ერთნაირი არაა, მაინც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, და ვერაფერ სხვაგვარ პრინციპულს ახალ პარტნიორ ქალთან ვერ ნახავს. მაშინ, როდესაც მამაკაცი სუსტი სასქესო კონსტიტუციით, რომელსაც არ გააჩნია საკმაო სასქესო გამოცდილება (ან „უცოდველია", რომელიც ძალიან ადრე დაქორწინდა), ქორწინებაშიც აგრძელებს ფანტაზიორობას „ლამაზმანებზე კაბარედან". მისთვის ძველებურად მნიშვნელოვანია თვითდამკვიდრება, ამიტომ ღალატი მას შეუძლია მხოლოდ მამაკაცური კომპლექსების გამო, იმ სურვილის გამო, რომ დაუმტკიცოს საკუთარ თავს რაღაც შემიძლიაო. ასეთ მამაკაცებს ძალიან უყვართ ტრაბახი მეგობრებთან თავისი გამარჯვებების შესახებ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნამდვილად აქტიური „მამალი" ასეთი გულღია არაა თავის საუბრებში ქალების შესახებ.

### ფანტაზიები სექსში

**— მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ოჯახში იყოს ნდობა სექსუალურ საკითხებში, — ამბობს ფსიქოლოგი. — ნდობა — ესაა შესაძლებლობა, შეუშვა სხვა ადამიანი საკუთარ ინტიმურ ზონებში და იქონიო იმის იმედი, რომ ეს უსაფრთხოა.** უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა კეთდება ლოგინში, არამედ ის, თუ რამდენად მზადაა წყვილი გულღიად ილაპარაკოს ინტიმურ თემებზე. ქმრებსაც და ცოლებსაც აქვთ სხვადასხვანაირი ფანტაზიები, სექსუალური ოცნებები. მაგრამ ეს ფანტაზიები ასევე განუხორციელებელი რჩება. ადამიანს ეშინია აღიაროს თავისი სანუკვარი სურვილები. ამიტომ საჭიროა, რომ ვისწავლოთ სწორად ლაპარაკი ინტიმურ თემებზე და გავამრავალფეროვნოთ საკუთარი სექსუალური ცხოვრება. მაშინ ვერავინ ივლის გარე-გარე, ტესტოსტერონის როგორი დონეც არ უნდა ჰქონდეს მამაკაცს სისხლში.

**სექსუალური მამაკაცების ერთგულება გამოიკვლია**
**სუზანა გორიაჩაიამ**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## ცინცხალი ანეკდოტები

— **ძვირფასო!** — ეუბნება ცოლი ქმარს, — გინახავს ოდესმე დაკუჭული 50 000 დოლარი? არა? მაშინ ნახე, ამბობს და გარაჟის კარს აღებს.

* * *

**დედა** პატარა ქალიშვილთან ერთად ბანკომატთან მივიდა და იქიდან ფული მიიღო.

— დედიკო, მაგ ყუთში მამიკო ზის? — ეკითხება დედას თვალებგაფართოებული ბავშვი.

* * *

**მიხო** ქუჩაში დგას და სიგარეტს ექაჩება.

— ბიჭუნა, შენმა მშობლებმა იციან, რომ ეწევი? — ეკითხება მას უცნობი ქალი.

— დეიდა, თქვენმა ქმარმა იცის, რომ უცნობ მამაკაცს ეტორღიალებით?



* * *

**მამაკაცი** მეორედ დაქორწინდა და ქორწილის შემდეგ ცოლს ეუბნება:

— ძვირფასო, ახლა უნდა გითხრა ჩემი ერთი დიდი ნაკლოვანების შესახებ. სამწუხაროდ, მე ხშირად უმიზეზოდ ეჭვიანი ვარ.

— ნუ ნერვიულობ, საყვარელო, — უღიმის ცოლი, — არ მოგიწევს უმიზეზოდ ეჭვიანობა.

* * *

**წყვილი** წვრილმან რაღაცებში ვერ შეთანხმდა.

კერძოდ, გოგო დათანხმდა, რომ ჩაეცვა თეთრი კაბა, მაგრამ კვლავინდებურად ითხოვდა ვარდისფერი შლაპის დახურვას.

ბიჭს კი კვლავინდებურად არ სურდა მასზე დაქორწინება.

* * *

**რაც** უფრო ბრიყვული და ჩლუნგია სასკოლო პროგრამა, მით უფრო ჭკვიანი ჩანს მთავრობა მოზარდი თაობის თვალში.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ბობიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24